# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 ივლისი 2003 №133 (1904) | ფასი 50 თეთრი


# ქინქლაძის აგენტი სელტიკს ელაპარაკება

გიორგი ქინქლაძე ბულბულაშვილის ფოტო

*დიდი ისტორია და მტრობა აქვთ „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“, საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, გლაზგოურ „ოლდ ფირმში“ ერთმანეთის პირისპირ ქართველებიც წარდგებიან.*

*აგენტი ივან ბენეში უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს გლაზგოს „სელტიკთან“ და თუ ყველაფერი წარმატებით დასრულდა, ბენეში გიორგი ქინქლაძისთვის „სელტიკს“ გამოადნობს.*

*თავად ქინქლაძე ახლა შვეიცარიაშია, მიხეილ ყაველაშვილს სტუმრობს და ბენეშისგან ელის „სელტიკის“ პასუხს.*

*ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს „სელტიკის“ მწვრთნელი მარტინ ონილი — ის ქინქლაძის სელტიკელობითაა დაინტერესებული, თუმცა შესაძლოა, თავად დატოვოს გლაზგოური გრანდი. ხოლო თუ ონილი „სელტიკში“ დარჩა, იქ ქინქლაძის ტრანსფერის შანსები ერთი-ორად იზრდება.*

*ყოველივე ეს „რეინჯერსის“ ქართველმა შემტევმა შოთა არველაძემაც დაგვიდასტურა.*

დავით თავართქილაძე

# სტეფანია და ფაჩულია ნერვებს არ იშლიან

## ნერვები კლუბებმა მოიშალონ



ვლადიმერ სტეფანია

*სტამბოლის „ულქერის“ პრესატაშის ბირქან ჩეთინბორას „სარბიელისთვის“ გუშინწინ ნათქვამი, ზაზა ფაჩულია 2005 წლამდე ჩვენი საკუთრებაა, გუშინ თავად ზაზამაც დაგვიდასტურა. არადა, აქამდე ცნობილი იყო, თითქოს ფაჩულიას „ულქერთან“ კონტრაქტი წლეულს, ოქტომბერში უმთავრდებოდა. ორლანდოელთა ქართველმა რჩეულმა იმ თანხის ოდენობაც გაგვანდო, „ულქერმა“ „მეჯიქისგან“ მის სანაცვლოდ რომ უნდა მიიღოს და რომელიც ჩეთინბორამ დაგვიმალა. აი, რა გვითხრა გუშინ ზაზამ...*

*„თურქებთან კამათის თავი ახლა არ მაქვს, მათი თქმით, 2005 წლამდე ულქერელი ვარ და იყოს ასე, ნბა-ში გადასვლაში ხელს მაინც ვერ შემიშლიან...*

*კონტრაქტის გამოსყიდვაზე ორლანდოელები უკვე ელაპარაკებიან ულქერელებს და, მგონი, მალე ჩავირიცხები ჩემს ახალ გუნდში...*

*ჩემს ულქერულ კონტრაქტში წერია, რომ ნბა-ს კლუბმა თუ წამიყვანა, სანაცვლოდ 350 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს. „ორლანდოსთან“ მზად არის ამ თანხის გადასახდელად, ასე რომ, მე არაფრის დამატება აღარ მომიწევს. ახლა მხოლოდ იმას ვუცდი, თურქები და ამერიკელები როდის შეათანხმებენ კონტრაქტის დეტალებს, რათა „ორლანდოსთან“ ხელშეკრულება გავაფორმო.“*

*საკონტრაქტო მღელვარებაშია ვლადიმერ სტეფანიაც. ვოვას ძველ კლუბს „მაიამი ჰითს“ ქართველი არ ეთმობა, მაგრამ მის შესანარჩუნებლად არც მილიონები ემეტება. სტეფანია ამბობს, ნერვების თამაში დაიწყოო, ვინც მეტს მოითმენს, ის მოიგებსო. ქართველს მოთმენა გადაუწყვეტია, არსად მეჩქარებაო და სასურველ კონტრაქტს ელის.*



ზაზა ფაჩულია

# შუშაკი სხვა შემთხვევაა

## ფინკეს დაფვალება თუ გოლები? იხილეთ იაშვილის პასუხი ბუნდესლიგაში

ბურას დოლოდიანის ფოტო

*იაში! იაში! ეს „ფრაიბურგის“ ფანების ერთ-ერთი საყვარელი შეძახილია...*

*ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი საამსეზონოდ ბუნდესლიგაში დაბრუნდნენ და ჩვენი ინტერესიც გერმანული ჩემპიონატისადმი ერთი-ორად გაიზარდა — ლევან კობიაშვილი სულაც შალკელი გახდა.*

*იაშვილმა კი გოლებითაც უნდა გაგვახაროს — ფორვარდის კარგი თამაში ძვირად ფასობს, თავდამსხმელობა და გოლის გემო სულ სხვაა...*

*თუმც ბუნდესლიგაში მიბრუნებული ქართველი შემტევი ჯერ იქით „დავბომბეთ“, ცხადია, კითხვებით...*

**— მოსამზადებელი ეტაპი როგორ მიდის?**

— ნორმალურად. ლაუნგეიტიდან დაბრუნებულებმა ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ — „ბრიუგესთან“ 0:3 წავაგეთ, ობერლიგის „ლინგსს“ კი 5:0 მოვუგეთ. „ბრიუგესთან“ არ მითამაშია, რადგან ფეხის კუნთები ცოტა გადაღლილი მქონდა, ხოლო „ლინგსთან“ ერთი გოლი გავიტანე, ორი საგოლე პასი გადავაწოდე და ერთი გოლიც ცქიტიშვილმა შეაგდო.

**— როგორ ფიქრობ, „ბუნდესლიგაში“ დაბრუნებული „ფრაიბურგი“ შარშანდელზე გაცილებით ძლიერი იქნება?**

— შარშანდელზე ძლიერი ნაღდად იქნება მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან ლევან კობიაშვილის წასვლა ჩვენთვის ძალიან დიდი დანაკლისია. მაგრამ „ფრაიბურგში“ რამდენიმე კარგი ფეხბურთელიც მოვიდა და ყველას გვეიმედება, რომ ისინი „ფრაიბურგს“ გამოადგებიან.

**— ამ სეზონში „ფრაიბურგის“ მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ბუნდესლიგაში დარჩენაა?**

— ეგრეა — ჯერ რომ უფრო დიდ მიზნებზე ვილაპარაკოთ, არასწორი იქნება.

**— „ფრაიბურგი“ ფინანსურადაც მოლონიერდა?**

— ბუნდესლიგაში რომ ვერ დავბრუნებულიყავით, კლუბს შესაძლოა ფინანსური პრობლემები შექმნოდა. ახლა კი ყველაფერი რიგზეა. ბუნდესლიგაში ასეა — 4-5 მოწინავე კლუბის გარდა, დანარჩენები დაახლოებით ერთნაირი შეძლების არიან. თანაც „ფრაიბურგს“ თავისი პოლიტიკა აქვს — ფეხბურთელების შეძენაში დიდ ფულს არ ხარჯავს, რაც კლუბისთვის ერთ-ერთი პლუსია.

**— ბოლო დროს ისეთი ტიპის ფორვარდად ჩამოყალიბდი, ვისაც ბევრი გოლი არ გააქვს, მაგრამ საგოლე პასებს ბლომად არიგებს. ეს თავისთავად მოხდა თუ ფოლკერ ფინკე გავალებს ამას?**

— ეს ფინკეს მოთხოვნაა. ის ყველაფერ ამით კმაყოფილია და მეც ვცდილობ, ამ დავალებას თავი კარგად გავართვა — წინა სეზონში 12 საგოლე პასი გავაკეთე და ასეთი შედეგი ბევრ ფეხბურთელს როდი აქვს. მაგრამ, რა თქმა უნდა, გოლი სულ სხვაა...

**— ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგაში ალექსანდრე იაშვილის გოლებს ნაკლებად უნდა ველოდოთ?**

— ვნახოთ, შესაძლოა, სხვა სტილით მომიწიოს თამაშმა. ისე, ბუნდესლიგაში უფრო ძლიერი მცველები არიან, ვიდრე მეორე ბუნდესლიგაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ბუნდესლიგაში თამაში უფრო ადვილია — აქ ყველა გუნდი იმას ცდილობს, რომ შეუტიოს, სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენოს. ქვედა ლიგაში კი „ფრაიბურგის“ წინააღმდეგ ყველა იმას ცდილობდა, როგორმე არ წაეგოთ — ბუნდესლიგაში ასე აღარ იქნება.

**— ჩვენი უპირველესი მიზანი ბუნდესლიგაში დარჩენაა, თქვი და როგორ ფიქრობ, კიდევ რომელი გუნდები იბრძოლებენ ასეთი მიზნისთვის?**

— მოწინავე ევროპული ლიგებიდან ბუნდესლიგა ერთადერთია, სადაც კონკრეტულად ვერ დაასახელებ რამდენიმე ასეთ გუნდს. განა წინა სეზონში ვინმე იფიქრებდა, რომ „ლეგერკუზენი“ და „კაიზერსლაუტერნი“ არგავარდნისთვის იბრძოლებდნენ?! ვფიქრობ, ბუნდესლიგაში ათი ისეთი გუნდია, რომლებსაც გავარდნა ემუქრებათ.

**— ნაკრებს გვერდს ვერ ავუვლით. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ციკლის ბოლომდე გუნდს ივო შუშაკი გაწვრთნის, რომლის ხელში ნაკრებში ჯერ არ გითამაშია. ხომ არ ფიქრობ, რომ ამ მწვრთნელის გემოვნებაში, ასე ვთქვათ, ვერ ჯდები?**

— ირლანდიასთან მატჩის წინ სიცხემ ამიწია და თამაშს ვერანაირად ვერ შევძლებდი. რაც შეეხება რუსეთთან უთამაშებლობას, ერთი ასეთი შემთხვევით არასწორი იქნება დასკვნების გამოტანა.

**— გასაგებია, მაგრამ შუშაკის გაწვრთნილ ნაკრებში შენს პერსპექტივას როგორ უყურებ?**

— ჩემი მიზანია, „ფრაიბურგში“ კარგად ვითამაშო. მერე კი, არა მგონია, ბუნდესლიგაში წარმატებით მოთამაშე ფეხბურთელმა საქართველოს ნაკრებში ვერ ითამაშოს. ნაკრებში არც მანამდე მითამაშია ურიგოდ — 15 მატჩში 6 გოლი გავიტანე.

**— როცა ნაკრებს ყიფიან-ძაძუაშვილის ტანდემი წვრთნიდა, მაშინაც ბუნდესლიგაში თამაშობდი, მაგრამ ეროვნული გუნდის ძირითადში რამდენჯერმე არ დაგაყენეს და მერე შენ თვითონ თქვი ნაკრებში გამოძახებაზე უარი...**

— მსგავსი რამ სხვა ნაკრებებშიც მომხდარა, მაგრამ მაშინ სხვა შემთხვევა იყო — 5-6 მატჩს რომ არ გათამაშებენ, სულ სხვა რამეა.

**— ერთი ტრადიციული კითხვაც: საქართველოს ნაკრები ყველა შესარჩევ ციკლს რომ აგდებს, რისი ბრალია?**

— ფაქტია, გვყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც კარგ კლუბებში კარგად თამაშობენ. მაგრამ ყველაფერს მხოლოდ მწვრთნელებს ვერ დავაბრალებ. სწორი ის იქნება, ყველამ საკუთარ თავში ვეძებოთ ნაკრების წარუმატებლობების მიზეზები, თორემ სხვაზე გადაბრალება ყველაზე ადვილია.

**დავით თავართქილაძე**

ბურას დოლოდიანის ფოტო

ალექსანდრე იაშვილი ივო შუშაკს არ ებუტება



უეფას თასზე „სიონს“ „პუხოვი“ ამ ბროლის თასმა შეახვედრა

# ჰოპ, ზილინა, ზილინა...

## სიონის მეტოქეს ხასიათი წაუხდინეს

ბოლნისის „სიონის“ საახალსეზონო სამზადისზე ხშირად გაწვდიდით ცნობებს. ახლა ბოლნისელთა საუეფასთასო მეტოქეზე, სლოვაკურ „პუხოვზეც“ ვთქვათ.

„პუხოვმა“ ახლახან დაასრულა მოსამზადებელი ეტაპი და, ფაქტობრივად, ახალი სეზონიც დაიწყო. ახლახან სლოვაკეთის თასის მფლობელი „პუხოვი“ სუპერთასზე ჩემპიონ „ზილინას“ შეხვდა და 0:2 დამარცხდა.

„ზილინას“ აშკარად „შემოეჩაგრა“ „სიონის“ მომავალი მეტოქე. ანგარიში მე-16 წუთზე მარეკ ბაჟიკმა გახსნა, რასაც 75-ეზე პუხოველმა პეტერ ცვირიკმა ავტოგოლი მიაყოლა. „ზილინას“ კიდევ შეეძლო გატანა, თუმც თავდამსხმელებმა საკმაო ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს.

აქვე „პუხოვის“ საამმატჩო შემადგენლობასაც გაგაცნობთ: *ბერნადი — ჰრიჩკო, ოვადი (ჰოლჩიკი 46), ცვირიკი — ტალდა (ვეგიჩი 66), ბელიკი, პეტერ ვავრიკი, ჟამბორი, იურგა — ბრელკა, ლაკრიპეცი (პრიჩკო 80).*

თავადაც მიხვდებოდით, „პუხოვი“ 3-5-2 ტაქტიკური სქემით თამაშობს. მატადორთა კოზირადაც სწორედ მოედნის ცენტრზე აქცენტი ითვლება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „პუხოვმა“ სლოვაკეთის თასის ფინალში ბრატისლავის „სლოვანი“ დაამარცხა. მაისში გამართული მატჩის ბედი დამატებით დროში გადაწყდა — ბოლნისელთა მომავალმა მეტოქემ 2:1 სძლია „სლოვანს“.

**ძახა ზალამგერიძე**

# არ მინდა არმინია?

## დღეს ბოლო დღეა

რა ხანია, არჩილ არველაძე ბილეფელდის „არმინიაშია“ შეკრებაზე და საკონტროლო მატჩებსაც თამაშობს, თუმც მისი ამ გუნდში ჩარიცხვა-არჩარიცხვას საშველი არ დაადგა. მაგრამ ყოველივე მალე დამთავრდება — დღეს „არმინია“ სოფიის „სლავიას“ გაეჯიბრება და მატჩის შემდეგ აჩიკო კლუბის ხელმძღვანელობას საბოლოოდ დაელაპარაკება ტრანსფერის თაობაზე.

კონტრაქტის გაფორმებას ფინანსური მხარე აბრკოლებს — თუ „არმინიამ“ ადრე შეთავაზებულზე უკეთესი პირობები არ დაუთქვა ტყუპისცალს, გარიგება არ შედგება.

**დავით თავართქილაძე**

# აუემ რკინიგზას რკინის სიტყვა ვერ უთხრა

თბილისის „ლოკომოტივი“ კვლავაც რუიტულ შეკრებაზეა. რკინიგზელები „შტუტგარტერ კიკერსის“ მერე „როიტლინგენს“ კი უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მატჩი ჩაიშალა და „ლოკომოტივი“ სავარაუდოდ რეგიონალიგის ორ გუნდს 20 და 21 ივლისს გაეჯიბრება.

ლოკომოტიველი როინ ონიანი მეორე ბუნდესლიგის „აუეში“ რომ წავიდა გასინჯვაზე, ადრეც გაუწყეთ. „აუემ“ ონიანი გუშინ „ლოკომტივში“ გამოაბრუნა, თუმც რკინიგზელებს შეუთვალა, ავიყვანთ თუ არა ონიანს, ორ დღეში გაცნობებთო.

რაც შეეხება განელ შემტევ ნანა ეშუანს, მას „ლოკომოტივი“ რუიტში 21 ივლისს ელის.

**დავით თავართქილაძე**

# არის ასეთი მცველი...

## ჯანსაღი ეაციის ჯანსაღი ინსტინქტი: ლევან სილაგაძეს ნაპრები მოენატრა

ლევან სილაგაძეს ქართველ გულშემატკივართან წარდგენა არ სჭირდება. ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველი ახლა ყაზანის „რუბინშია", „რუბინი" კი რუსული პრემიერლიგის აღმოჩენაა. პირველი დივიზიონიდან აღზევებულმა ყაზანელებმა პრემიერლიგის ტალღებში ისე ღრმად შეტოპეს, ბარე ორ დებიუტანტს შეშურდებოდა — ლევან სილაგაძის, დავით ჩალაძისა და გიზო ჯელაძის „რუბინი" ახლა მეხუთე ადგილზეა.

ყაზანური კლუბის მძლავრი სტარტი ისეთივე მოულოდნელი იყო ყველასთვის, როგორც ლევან სილაგაძის ძირითადი შემადგენლობიდან გაუჩინარება, თუმც ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა: „რუბინს" უკვე ყველა მეტოქე უფრთხის და ჩვენებურიც ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში.

გუშინ ლევანს ყაზანში შევეხმიანეთ და კლუბის ამბების გარდა სამომავლო გეგმებზეც გავესაუბრეთ...

**— რუსები „რუბინს" წლის აღმოჩენად ნათლავენ. რამ განაპირობა ასეთი წარმატებული დებიუტი?**

— რა ვიცი, თითქოს ჩვეულებრივად დავიწყეთ სეზონი და აღმოჩნდა, რომ სხვებზე ნაკლებნი არ ვყოფილვართ. ახლა მეხუთე ადგილზე ვართ, რაც დებიუტანტისთვის ცუდი არ უნდა იყოს.

**— გეგმას ხომ არ გადააჭარბეთ?**

— ასე გამოდის, თუმც გაჩერებას ნაღდად არ ვაპირებთ. რაც შეგვეძლება, დავიხარჯებით.

**— მიზანი ალბათ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო...**

— იყო და არის კიდეც. ვხუმრობ, ცხადია, სასწაული უნდა მოხდეს, ლიგიდან რომ გავვარდეთ. ასეთი სასწაულების კი არ მჯერა. ახლა რაც უფრო მაღალ ადგილზე გავალთ, მით უკეთესი იქნება. მთავარია, არ მოვდუნდეთ.

**— ისე, „რუბინი" ძალიან. „ჭრელი" გუნდია...**

— ჰო, მაგრამ ძალიან მეგობრულიც. ლეგიონერები მართლა მრავლად ვართ, მაგრამ ეს საერთო ენის გამონახვაში ხელს არ გვიშლის.

**— კიდევ აპირებს კლუბი ლეგიონერების მიწვევას?**

— ლაპარაკი იყო ორ ფეხბურთელზე. როგორც ამბობენ, თავდამსხმელი და ნახევარმცველი გვჭირდება, მაგრამ ჯერ ასეთი არავინ გამოჩენილა.

**— თავდამსხმელის შეძენით დავით ჩალაძე ხომ არ შევიწროვდება?**

— არა, ეს გამორიცხულია, დათო აქ ისევ ისეთი პოპულარულია, როგორც აქამდე იყო. ის ძალიან უყვართ და აფასებენ. ხელმძღვანელობას უფრო სათადარიგო თავდამსხმელის შეძენა სურს. უბრალოდ, ძალიან ცოტა თავდამსხმელი გვყავს — ჩალაძე და იტალიელი რონი, ეს არის და ეს.

**— ადრე გვითხარი, ყაზანში ჰოკეი უფრო პოპულარული სახეობაა, ვიდრე ფეხბურთიო...**

— სხვათა შორის, ნელ-ნელა ხალხმა ფეხბურთისკენ გამოიხედა. სეზონის დასაწყისში თითქმის ცარიელ სტადიონზე ვთამაშობდით, ახლა კი რა შედარებაა. ასე თუ გავაგრძელეთ, ალბათ, აქაურებს ჰოკეის საერთოდ დავავიწყებთ.

**— სეზონის დასაწყისში „რუბინის" შემადგენლობაში იშვიათად ჩანდი...**

— ჰო, თავიდან ცოტა გამიჭირდა, თან ტრავმა ახალი მორჩენილი მქონდა და ამან გარკვეული დრო წამართვა. მერე კი ფორმაშიც შევედი და, საბედნიეროდ, ახლა არაფერს ვუჩივი.

**— საქართველოს ნაკრებიდანაც მოულოდნელად გაუჩინარდი. ახლა თუ ფიქრობ ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე?**

— როგორ არ ვფიქრობ. იმ ფეხბურთელს რა ვუთხარი, ვისაც ნაკრებში თამაში არ სურს. ეს ჩემი მიზანია და ვეცდები, მალე ისევ მივიპყრო მწვრთნელების ყურადღება. უბრალოდ, ჩემი ნაკრებიდან გაუჩინარება რაღაც პრობლემების გამო მოხდა. მაშინ ძალიან მიჭირდა. გარკვეული მიზეზები მქონდა, რომლებზე ლაპარაკიც არ მსურს. ეს წარსულია. მერე საერთოდ დამივიწყეს, მაგრამ ხელის ჩაქნევას არ ვაპირებ. მე ნაკრებში აუცილებლად დავბრუნდები.

**ძახა ზალამგერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჯობავა/ფოტო

დავით დიღმელაშვილისა და „ვიტ ჯორჯიასთვის" „პაშინგთან" მატჩი დღემდე ავად მოსაგონარია

# რატომ?

## გათურქებას გამოქცეული დიღმელა მწარე ეითხვებს არ გაურბის

*ახალგაზრდა ვეტერანი — ასე ეძახიან თანაგუნდელები „ვიტ ჯორჯიას" ხერხემალს, დავით დიღმელაშვილს, რომელიც 23 წლისაა და ჯერ ყველაფერი წინ აქვს. ჩვიდმეტისა არც შესრულებულიყო, „დიღმელას" ლეგიონერის მაისურა რომ ემოსა. თურქულმა „სამსუნსფორმა" ლამის საფეხბურთო სკოლიდან წაიყვანა. 22 წლისამ უკვე იტალიური სერია B-ს „სიენას" კარი შეაღო, მანამდე კი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების და ახალგაზრდული გუნდის საყრდენი იყო. ბევრს ეგონა, ვიტელთაგან სხვა გუნდში პირველი ის გადავაო. თითქოს მსურველებიც არ აკლდა, მაგრამ დღეს ისევ თბილისშია*

— შემოთავაზებები ნამდვილად იყო, ხმები ჩემამდეც აღწევდა და კლუბსაც უკავშირდებოდნენ, თუმცა კონკრეტული წინადადებები არ მიმიღია. მე კი საკმაოდ გამოცდილი ვარ იმისთვის, რათა ფეხის ხმას არ ავყვე. ამიტომ „ვიტ ჯორჯიაში" დარჩენა გადავწყვიტე, მით უმეტეს, კლუბთან კონტრაქტი ერთ წელიწადში მიმთავრდება.

**— ჯერაც უწვერული თურქეთში წახვედი, „სამსუნსფორში" კარგა ხანსაც დარჩი, მაგრამ საქმეები საშენოდ მაინც ვერ აწყვე. რა მოგცა თურქეთში თამაშმა?**

— ჩემთვის ეს უდიდესი გამოცდილება იყო. დამოუკიდებლობას შევეჩვიე, საკუთარი თავის პატრონი ვიყავი და გადაწყვეტილებებსაც დამოუკიდებლად ვიღებდი.

სამსუნში ნამდვილად კარგი პირობები მქონდა, თითქმის ორი სეზონი იქაურ ფარმკლუბში ვითამაშე. 17 წლის ქართველი 21 წლის თურქებთან ვთამაშობდი. კლუბის თავკაცებს რომ არ აერიათ, კიდევ დავრჩებოდი და, ალბათ, ძირითადი გუნდის მაისურასაც მალე მოვირგებდი.

**— ისეთი რა შემოგთავაზეს თურქებმა, თავქუდმოგლეჯილი რომ გამოიქეცი?**

— ერთხელაც კლუბის ხელმძღვანელებმა დამიბარეს და, ჩვენიანი უნდა გახდეო, შემომპარეს. მივხვდი, რასაც გულისხმობდნენ. უარი მივახალე. რა გზით არ მომიარეს, მაგრამ სულ უფეხბურთოდ რომ დავრჩენილიყავი, მაინც არ გავთურქდებოდი. სხვა ქვეყანაში რომ ვყოფილიყავი, იქნებ დავფიქრებულიყავი კიდეც, მაგრამ გათურქების ფასად არაფერი მიღირს.

**— შანსი იტალიაშიც მოგეცა. ის „სიენა", შენ და მელქაძე რომ მიგიწვიათ, სერია A-ში წლეულს აღზევდა. წამოსვლას იქნებ დარჩენა გიჯობდათ?**

— იტალიიდან ნამდვილად არ გამოვქცეულვარ. წამოსვლის მიზეზი სულ სხვა იყო. თავიდან ყველაფერი ჩინებულად აგვეწყო, ვთამაშობდი კიდეც და ნელ-ნელა გუნდსაც და ახალ გარემოსაც ვუშინაურდებოდი. მერე „სიენაში" მწვრთნელი შეიცვალა. ახალმა ახალი ფეხბურთელები მოიყვანა. ერთხელაც მე და ლევანი გვიხმო და პირდაპირ გვითხრა, აქ უშანსოდ იქნებით, შინ გაბრუნება გიჯობთო. ციდან ვარსკვლავებს რომ არ ვკრეფდი, ჩემზე უკეთ არავინ იცის, უბრალოდ, არც კონკურენტები მჯობდნენ და ამან დამწყვიტა გული.

— შენი დროის ახალგაზრდული ნაკრები გავიხსენოთ. ნიჭიერი და იმედისმომცემი ბიჭებით დაკომპლექტებულმა გუნდმა შეარჩევი ეტაპი ფაქტობრივად ჩააგდო.

— მახსოვს, მაშინ ბევრი ამბობდა, ეს ბიჭები მალე ეროვნულში ითამაშებენო. საქართველოს პირველ ნაკრებში კი ორიოდ ჩვენიანი მოხვდა. სანამ პატარები ვიყავით, ჩვენი შეჩერება მოედანზე ძალიან ჭირდა. ასაკის მატებასთან ერთად ჩვენი ოსტატობაც უნდა გაზრდილიყო, მაგრამ... მთლად ვერ გავამართლეთ იმედები. მიზეზი ერთი შეიძლება იყოს, ჩვენს მომზადებაში სადღაც შეცდომა იქნა დაშვებული, რომლის გასწორებასაც წლები სჭირდება, რა თქმა უნდა, საერთოდ დაგვიანებული თუ არ არის.

**— ახლა, „ვიტ ჯორჯიაზე" ვთქვათ. გუნდს ჩინებული საჩემპიონო შანსი ჰქონდა და საბოლოოდ ბრინჯაოლა იკმარა. ბოლო მომენტში რამ დაგაღალატათ?**

— კლუბში ნორმალური განწყობა სუფევდა. ყველა გვამხნევებდა და პირობებიც არ დაიწუნებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, ბოლოსკენ ძალები როგორ გვეცლებოდა. „ვიტ ჯორჯია" გადაიღალა და შანსიც ამიტომ დავკარგეთ. გუნდს, ფაქტობრივად, ოთხი წელია, არ დაუსვენია. ევროტურნირი, ჩემპიონატი და ამას დამატებული ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში. თუმც მაინც მგონია, რომ სწორად რომ მოვმზადებულიყავით, ძალების განაწილება შეიძლებოდა.

**— ავსტრიული „პაშინგი" ნამდვილად არ ჰგავდა იმ გუნდს, „ვიტ ჯორჯია" ინტერტოტოს წლევანდელი გათამაშებიდან გამოეთიშა. ესეც შეცდომის ბრალია?**

— აბა, სხვას რას დავაბრალოთ. „პაშინგი" ნამდვილად არ იყო ის გუნდი, ორი მატჩის ჯამში დავეჩაგრეთ. უბრალოდ, ჩვენ ვერ ვითამაშეთ. „ვიტ ჯორჯიას" სტილი ყველამ კარგად იცის, აგრესიული თამაში მოედნის ცენტრში, ჟინი და სისწრაფე... „პაშინგთან" ეს ყველაფერი გვაკლდა, განსაკუთრებით კი თბილისურ მატჩში. ცოტაც რომ მოგვემატებინა, მეტოქე გატყდებოდა, მაგრამ დაღლილები ვიყავით. გოლების გატანა მაინც შეგვეძლო, მაგრამ უზუსტობა ხომ ულონობამ იცის.

**მამუკა კვანტალიანი**

# ღარიბი უძახე და...

## ლაციომ უძვირესი ბასკი დაიბრუნა



გაისკა მენდიეტა

**ალბათ გახსოვთ,** რაოდენ პოპულარული იყო გაისკა მენდიეტა დაახლოებით ორი წლის წინ. მისი კაპიტნობით „ვალენსიამ" ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალამდეც გააღწია. იგი საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა და ევროპულმა გრანდებმაც მასზე ნადირობა დაიწყეს. საბოლოოდ ბასკი ნახევარმცველი რომის „ლაციოს" დარჩა. იტალიურმა კლუბმა მენდიეტაში ესპანელი ფეხბურთელისთვის სარეკორდო თანხა, 41 მილიონი დოლარი გადაიხადა და მასზე დიდ იმედებიც დაამყარა, მაგრამ...

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ მენდიეტამ თითქმის მთელი სეზონი „ლაციოს" სათადარიგოთა სკამზე გაატარა, შარშან კი „ბარსელონაში" გაანათხოვრეს, მაგრამ ძველი დრო ვერც იქ გაიხსენა და კატალონიელებმაც აღარ ისურვეს მისი გამოსყიდვა.

მენდიეტას სხვა გუნდში გადასვლაზე მითქმა-მოთქმა მაინც გრძელდებოდა, მაგრამ „ლაციომ" ყველაფერს ნათელი მოჰფინა, როგორც ჩანს, რომაელებს მისი კვლავ ეიმედებათ და ამიტომ 29 წლის ბასკს ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზეს. მენდიეტაც დათანხმდა და ახლა იგი 2008 წლის 30 ივნისამდე „ლაციოს" საკუთრებად რჩება.

ფინანსურ კრიზისში მყოფმა „ლაციომ" საიმისო ფულიც გამონახა, რომ შარშან „ინტერიდან" 11 მილიონ ევროდ ნაყიდი ბერნანდო კორადისთვის კონტრაქტი გაეხანგრძლივებინა. 27 წლის კორადი, რომელმაც მშვენიერი სეზონი ჩაატარა „ლაციოში", კლუბში მენდიეტას დარად 2008 წლამდე დარჩება.

შეგახსენებთ, რომ „ლაციოს" ფულის მხრივ მას შემდეგ უჭირს, რაც შარშან ნოემბერში რომაული კლუბის სპონსორმა CIRIO-მ უზარმაზარი ფინანსური ზარალი ნახა.

**გიორგი კაკაბაძე**




რიკარდო კვარესმა „ბარსელონაში" ფილოსოფიურად მივიდა

# კამპ ნოუზე ჰარი პოტერი მიფრინდა

## ფიგუს ხნის ქვა აღარ დაგორავსო

რიკარდო ანდრადე კვარესმა ბერნარდო, იგივე კვარესმა, იგივე „პორტუგალიელი ჰარი ჰოტერი", იგივე „ახალი ფიგუ", იგივე „პორტუგალიური ფეხბურთის ხვალინდელი დღე" კატალონიური „ბარსელონას" საკუთრება გახდა.

„რიკარდო „ბარსელონას" მარგალიტი იქნება. ჯერ 19 წლისაა და ჩვენმა მეზობელმა პორტუგალიელებმა საფეხბურთო ჯადოქრობისთვის უკვე ჰარი პოტერი შეარქვეს. იმედი მაქვს, მისი მაგიური კარიერა კატალონიაშიც წარმატებით გაგრძელდება" — განაცხადა გახარებულმა ხუან ლაპორტამ.

„ბარსელონას" სპორტული დირექტორი ბეგირისტაინიც აღფრთოვანებული ჩანდა: „ის შესანიშნავი ფეხბურთელია. „ბარსას" ახალ სტილსა და ფილოსოფიას სწორედ კვარესმა სჭირდებოდა."

ახალგაზრდა პორტუგალიელი პრიმერადივიზიონის გრანდში ლისაბონის „სპორტინგიდან" გადავიდა, რაც „ბარსელონას" 6 მილიონი ევრო და ფაბიო როჩემბაკის ლუზიტანიურ კლუბში 3 წლით გაგზავნა დაუჯდა.

მიუხედავად ნორჩი ასაკისა, „ჰარი პოტერს" უკვე აქვს თავისი ქვეყნის უროვნულ გუნდში თამაშის გამოცდილება. „ბავშვობის ოცნება ამისრულდა, ჩემთვის „ბარსელონაში" თამაში უდიდესი პატივია. მთელი სულითა და გულით ვეცდები, ამ ბრწყინვალე საფეხბურთო ისტორიის მქონე გუნდს დავეხმარო" — უთხრა ჟურნალისტებს ფეხბურთელმა.

პრესკონფერენციის შემდეგ კვარესმამ კატალონიური გრანდის მაისურა მოირგო და „კამპ ნოუზე" საგანგებოდ მისთვის თავმოყრილ ფანებს ბურთის ფლობის ოსტატობა აჩვენა.

ფრანკ რიკარდმა კი ირონიულად თქვა: „რიკარდო ახლა პორტუგალიის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, თამაში ორივე ფლანგზე შესანიშნავად შეუძლია. რა განსხვავებაა მასსა და ფიგუს შორის?მხოლოდ ის, რომ ლუიშ ფიგუ გაცილებით უფრო ასაკოვანია."

**ლადო ხომერიკი**

# შეგვხვედეთ, რანი ვართ

## ლიგის თასი და მილიონი მაინც ჯარგია

### გერმანია

**ჰამბურგი 2:1 ჰერტა**

10 მალტრიცი (9), 14 ბობიჩი (37), 24 რანი (71)

ჰამბურგი: პიკენბაგენი, იაკოვსენი, იუფვალუში, ბოოგმა, რანი, მალტრიცი, ბაინლიხი, კარდოზო (ტაკაჰარა 57), მაბდავიკია, რომეო (კლინგი 79), ბარბარესი

მწვრთნელი: იაკურტ იარა

ჰერტა: კირალი, რემერი (კარვანი 77), შმიდტი, მადლუნგი, ბარტმანი, მარქსი, დარდაი, გოორი (ნენდორფი 74), მარსელინო, ბობიჩი (ლუიზოო 52), ვიშნიარეკი

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

გაფრთხილება: რომეო, მალტრიცი, მარქსი

9 000 მაყურებელი

ლიგის თასის პირველი ეტაპის მეორე მატჩში „ჰამბურგმა" ბერლინის „ჰერტა" ერთი ბურთის სხვაობით, თუმც დამსახურებულად დაამარცხა.

ანგარიში მეცხრე წუთზე ჰამბურგელმა მარსელ მალტრიცმა გახსნა. შესვენებამდე ბერლინელებმა ფრედი ბობიჩის გოლით გაათანაბრეს.

მეორე ტაიმში გუნდებმა ერთმანეთის კართან ბლომად სახიფათო მომენტები შექმნეს, თუმცა გადამწყვეტ მომენტში მცველები ფორვარდებზე უკეთ თამაშობდნენ და ნიშანდობლივიც გახლდათ, რომ გამარჯვების გოლი სწორედ შეტევაში დროულად ჩართულმა მცველმა გაიტანა. კრისტიან რანის გოლმა „ჰამბურგი" ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც მიუხვნის „ბაიერნს" დაუხვდება.

კრისტიან რანი (მარცხნივ) დაცვაშიც გაუვალი იყო
და გამარჯვების გოლიც მანვე გაიტანა

მაშ ასე, „ჰამბურგი" — „ბაიერნი" და „დორტმუნდი" — „შტუტგარტის" წყვილებში გამარჯვებულები 28 ივლისს მაინცში შეეჯახებიან ერთმანეთს. თასის მფლობელი მილიონ 280 ათას ევროს მიიღებს და ბუნდესლიგის დაწყებას კარგ ხასიათზე შეხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### უკრაინა

**30-2 ტური: ჩერნომორეცი — დინამო 1:0; შახტარი — ვორსკლა 4:0; არსენალი — ობოლონი 2:1; ტავრია — მეტალურგი დ. 1:1; დნიპრო — კარპატი 4:1; ვოლინი — ილიჩევეცი 2:2; მეტალურგი ზ. — ბორისფენი 1:0; კრივბასი — ზვეზდა 1:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| დნიპრო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| კარპატი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ობოლონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჩერნომორეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ზვეზდა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| მეტალურგი ზ. | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| კრივბასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| მეტალურგი დ. | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ილიჩევეცი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ტავრია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვოლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |
| ვორსკლა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| ბორისფენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### ფინეთი

**30-13 ტური: კუოპიო — ტურკუ 0:0; ტამპერე — მიუპა 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 11 | 8 | 2 | 1 | 25:5 | 26 |
| ტამპერე | 12 | 8 | 1 | 3 | 21:9 | 25 |
| ჰიკ | 12 | 6 | 4 | 2 | 18:10 | 22 |
| ალიანსი | 11 | 6 | 3 | 2 | 23:16 | 21 |
| მიუპა | 12 | 6 | 2 | 4 | 17:9 | 20 |
| ჰამენლინა | 12 | 5 | 3 | 4 | 13:8 | 18 |
| ტურკუ | 13 | 4 | 5 | 4 | 17:16 | 17 |
| ინტერი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:19 | 14 |
| იოკერიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:16 | 14 |
| ჯაზი | 12 | 4 | 1 | 7 | 15:25 | 13 |
| კტპ | 12 | 4 | 0 | 8 | 17:24 | 12 |
| ლაჰტი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:17 | 11 |
| იარო | 12 | 2 | 5 | 5 | 15:22 | 11 |
| კუოპიო | 13 | 2 | 3 | 8 | 13:30 | 9 |

### შვედეთი

**30-14 ტური: იორგორო — ლანდსკრონა 0:0; იოსტერი — ჰალმსტადი 0:3; სუნდსვალი — ენკოპინგი 0:0; იორგრიტე — იურგორდენი 0:3; აიკ — გიოტებორგი 0:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 14 | 9 | 1 | 4 | 31:12 | 28 |
| ჰამარბი | 13 | 7 | 4 | 2 | 19:14 | 25 |
| მალმიო | 13 | 7 | 3 | 3 | 24:13 | 24 |
| აიკ | 14 | 7 | 3 | 4 | 22:15 | 24 |
| ჰალმსტადი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:18 | 23 |
| იორგორო | 14 | 6 | 4 | 4 | 19:18 | 22 |
| იორგრიტე | 14 | 6 | 2 | 6 | 20:23 | 20 |
| გიოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 20:14 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:21 | 18 |
| ელფსბორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:21 | 16 |
| ლანდსკრონა | 14 | 3 | 6 | 5 | 14:18 | 15 |
| სუნდსვალი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:19 | 12 |
| ენკოპინგი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:28 | 9 |
| იოსტერი | 14 | 2 | 3 | 9 | 11:27 | 9 |

### ფეხბურთის რუბრიკაში



**ბელგიის** ნაკრების ცენტრალურმა მცველმა დანიელ ვან ბუიტენმა მარსელის „ოლიმპიკთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. არადა, დიდი ხანია, რაც ვან ბუიტენით არაერთი გრანდია დაინტერესებული და მის გადაბირებას ცდილობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მინიმუმ კიდევ ერთი სეზონი ბელგიელი „ოლიმპიკის" ღირსებას დაიცავს. 25 წლის ფეხბურთელი „ოლიმპიკში" 2001 წელს „სტანდარდიდან" გადავიდა და თავისი შესაძლებლობები ჩინებულად გამოავლინა. ამის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასზე ნადირობა „იუვენტუსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" თამადობით ევროპულმა გრანდებმა დაიწყეს, მაგრამ წლეულს მისი ტრანსფერი არ განხორციელდა. აქამდე მოქმედი კონტრაქტით, ვან ბუიტენი 2006 წლამდე უნდა დარჩენილიყო „ოლიმპიკში", ახლა კი ბელგიელი 2007 წლამდე ფრანგული კლუბის საკუთრებაა. თავად ვან ბუიტენმა განაცხადა, ძალიან კმაყოფილი ვარო, ხოლო მისმა აგენტმა კრისტოფ ანოტემ უფრო ვრცელი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დანიელისთვის მარსელში დარჩენა ავჯობებს. „ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვისაც სერიოზულად აპირებს ბრძოლას. დანიელს მოსწონს ალენ პერენთან მუშაობა და თავად მწვრთნელიც ძალიან კმაყოფილია მისით".

**ბერძნულმა „პანათინაიკოსმა" 900 ათას ევროდ 23 წლის რუმინელი ლუჩიან სანმერტიანი იყიდა. „გლორიას" ყოფილ ფეხბურთელს ბერძნებმა სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს (კიდევ 2 წლით გახანგრძლივების პერსპექტივით). რუმინელმა ფეხბურთელმა ამ სეზონში უკვე ითამაშა „გლორიასთან" ერთად ინტერტოტოს თასზე და გოლიც გაუტანა იტალიურ „ბრეშას", მაგრამ ორმატჩიან დუელში მისი გუნდი დამარცხდა (2:3). მიუხედავად ამისა, მას მაინც ექნება „პანათინაიკოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება. „ძალიან მიხარია, რომ ასეთ ტიტულიან კლუბში აღმოვჩნდი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩემს კარიერაში. დარწმუნებული ვარ საკუთარ შესაძლებლობებში და მსურს, ჩემს ახალ კლუბს დავეხმარო" — განაცხადა სანმერტიანმა. იგი სულ ცოტა ხანში შეუერთდება „პანათინაიკოსს", რომელიც მოსამზადებელ ეტაპს შვეიცარიაში გადის.**

# ᲒᲔᲙᲔᲜᲑᲐᲣᲔᲠᲡ ᲑᲚᲐᲢᲔᲠᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲭᲕᲘ ᲛᲘᲰᲐᲠᲔᲑᲐ

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲤᲘᲤᲐᲖᲔ: ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲨᲐᲕᲑᲜᲔᲚᲔᲑᲘ



ᲤᲠᲐᲜᲪ ᲑᲔᲙᲔᲜᲑᲐᲣᲔᲠᲘ ᲫᲠᲝᲮᲐᲡ ᲛᲝᲣᲯᲓᲐ ᲓᲐ, ᲙᲝᲙᲐ ᲙᲝᲚᲐᲡ ᲠᲫᲔ ᲡᲯᲝᲑᲡᲝ

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ** 2006 წლის ჩემპიონატზე გუნდების რაოდენობის 32-დან 36-მდე გაზრდის თაობაზე ფიფელთა მკითხაობამ ფრანც ბეკენბაუერი ისე გაახელა, რომ მომავალი მუნდიალის ორგანიზაციაზე უარის თქმაც კი დააპირა. ფიფამ საბოლოოდ 32 გუნდი დატოვა, მაგრამ „კაიზერ ფრანცს“ სიფიცხემ არ გადაუარა.

სახელგანთქმულმა გერმანელმა ზეპ ბლატერს დიქტატორობა დააბრალა: „მსოფლიო ფეხბურთის მამების ნორმალურობაში ხანდახან ეჭვი მეპარება. პრობლემა მარტო ფორმატისა და კალენდრის შეცვლა კი არ არის, ისინი სხვა ორგანიზაციულ საკითხებშიც წიხლს გვაჭერენ. ბილეთების გაძვირებას ფეხის ბაკუნით ითხოვენ, ჩემპიონატის ოფიციალურ სპონსორს კი უსაზღვრო უფლებებს აძლევენ. მაგალითად, „კოკა-კოლას“ უალკოჰოლო სასმელების რეკლამაზე მონოპოლია უბოძეს, რძის მწარმოებელ გერმანულ ფირმებს კი პროდუქციის რეკლამისა და გასაღების ყველა გზა მოუსპეს, არადა, „კოკა-კოლას“ რძე ხელს როგორ შეუშლის?“

„კაიზერ ფრანცს“ გერმანული მედიაც აჰყვა და „ბილდმა“ სიტყვა შეაშველა: „ჩვენი ქვეყნისთვის მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი დღესასწაულია, ფიფას კი ფეხბურთი ფულის საჭრელი მანქანა ჰგონია. სამხრეთ ამერიკიდან ერთი ნაკრების დამატებას რატომ აპირებდა? ვენესუელის ფეხბურთის ნახვა ვის უნდა?! რატომ ემხრობოდა ხულიო გრონდონა (არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) მუნდიალზე გუნდების რაოდენობის გაზრდას? პასუხი მარტივია — იგი ფიფას ფინანსური კომიტეტის თავკაცი იყო და ზეპ ბლატერის ბანდის შავბნელი საქმეები მიჩქმალა“.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲕᲐᲰᲘᲓᲣᲠᲘ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ

პსჟ-ს ხსენებაზე, უმალ რონალდინიო გველანდება, მაგრამ კლუბში რონალდინიოს გარდა სხვებიც არიან. პარიზელებს კონფედერაციის თასზე კამერუნის ნაკრების ნახევარმცველი მოდესტე მბამის თამაში მოეწონათ და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

აღსანიშნავია, რომ მბამის პრემიერლიგაში აღზევებული „ვულვერჰემპტონი“ ეკურკურებოდა. ფეხბურთელი ინგლისში ჩავიდა კიდეც და იქაურებს კონტრაქტის პირობებზე სიტყვიერად შეუთანხმდა. მერე ორი დღით დაეთხოვა, პარიზში ჩავიდა და „ვულვზმა“ გაზეთიდან შეიტყო მბამისა და პსჟ-ს მორიგების ამბავი.

20 წლის კამერუნელი 2000 წლიდან „სედანში“ თამაშობდა. გუნდი მეორე დივიზიონში დაქვეითდა და ფეხბურთელმაც თავს უშველა.

იმავდროულად, პსჟ-მ ესპანურ „ვალიადოლიდს“ არგენტინელი ფორვარდი მარტინ კარდეტი გაუგზავნა. არგენტინელი პარიზში შარშან გადავიდა და 25 მატჩში 8 გოლი გაიტანა. ახლა მას პრიმერადივიზიონში თამაში ელის და „ვალიადოლიდს“ ერთი სეზონით დაეხმარება.

დედაქალაქური გუნდის ახალი მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი კი უკვე შეეგუა რონალდინიოს წასვლას და ფეხბურთელებს ძებნას განაგრძობს. ბოსნიელი სპეციალისტი თურმე შვეიცარიასაც ესტუმრა და „ბაზელის“ მატჩს დაესწრო. მას ძმები, ჰაკან და მურატ იაკინები შეუთვალიერებია.

# ᲡᲐᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲜᲝᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ



**ᲒᲣᲨᲘᲜ** ვწერდით, რომ მარსელო სალასის ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგასო. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი იტალიის ჩემპიონს, ტურინის „იუვენტუსს“ გამოეთხოვა და ყოფილ კლუბს, არგენტინულ „რივერ პლეიტს“ დაუბრუნდა.

„ტრანსფერი დასრულებულია. სალასი „რივერის“ მოთამაშეა“ — განაცხადა ბუენოსაირესელთა ვიცე-პრეზიდენტმა ხულიო მაკიმ.

ჩილელი თავდამსხმელი „რივერში“ პირველად ყოფნისას ერთობ შედეგიანი გახლდათ. 53 თამაშში 24 გოლი გაიტანა და 1996-97 წლებში რამდენიმე ჯილდოს მოპოვებაში მიიღო მონაწილეობა. სწორედ ამ ეფექტის გამო დაუდგა მოგვიანებით კარიერის იტალიური მონაკვეთი: თამაშობდა „ლაციოსა“ და „იუვენტუსში“.

არგენტინული პრესა „რივერის“ თავდასხმაში მარსელო სალასისა და ფერნანდო კავენაგის შეწყვილებას დიდი ინტერესით ელის.

**ᲑᲐᲙᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ**

# ᲔᲓᲛᲣᲜᲓᲝ ᲩᲐᲛᲝᲐᲛᲮᲔᲪᲕᲔᲡ



ᲔᲓᲛᲣᲜᲓᲝᲡ „ᲕᲐᲡᲙᲣ“ ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲚᲐ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ

ნადაც გაუჭირდა „პონტე პრეტასთან“ ბრძოლა.

„პონტე პრეტამ“ ჟანის ლამაზი გოლით გაუხსნა ანგარიში „სანტოსს“. ეს გოლი ჟანისა და ფაბრისიო კარვაილოს მოხდენილ გათამაშებას მოჰყვა. თუმცა სტუმრები სულ ცხრა წუთს იგებდნენ — მერე რიკარდო ოლივეირამ გაათანაბრა.

საბოლოოდ „სანტოსმა“ ანდრე ლუიშის შორეული საჯარიმო დარტყმით გაიმარჯვა, 2:1.

მოგებულთა მწვრთნელ ემერსონ ლეაოს მეორე ტაიმის ცქერა ტრიბუნიდან მოუხდა, რადგან მსაჯ რომილდო კორიასთან კამათისთვის მოედნის კიდიდან გააძევეს.

## ᲚᲣᲬᲪᲐᲣ ᲓᲣ ᲛᲝᲜᲬᲐᲣ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 19 | 12 | 4 | 3 | 40:21 | 40 |
| სან პოულუ | 18 | 10 | 5 | 3 | 36:27 | 35 |
| სანტოსი | 18 | 10 | 4 | 4 | 32:18 | 34 |
| კურიტიბა | 19 | 10 | 3 | 6 | 30:23 | 33 |
| ატლ. მინეირო | 19 | 8 | 7 | 4 | 33:25 | 31 |
| ინტერნასიონალი | 19 | 8 | 5 | 6 | 26:26 | 31 |
| კრისიუმა | 18 | 9 | 3 | 6 | 22:21 | 30 |
| ფიგუეირენსე | 19 | 7 | 6 | 6 | 25:23 | 27 |
| სან კეეტანო | 19 | 6 | 9 | 4 | 18:18 | 27 |
| ვიტორია | 19 | 7 | 5 | 7 | 24:30 | 26 |
| პარანა | 18 | 7 | 4 | 7 | 34:29 | 25 |
| გუარანი | 19 | 7 | 4 | 8 | 31:30 | 25 |
| კორინთიანსი | 19 | 6 | 7 | 6 | 34:26 | 25 |
| ფლამენგო | 18 | 6 | 6 | 7 | 25:31 | 24 |
| ბაია | 19 | 6 | 5 | 8 | 22:27 | 23 |
| ატლ. პარანენსე | 17 | 6 | 4 | 7 | 26:24 | 22 |
| პაიშანდუ | 18 | 6 | 4 | 8 | 31:36 | 22 |
| ფლუმინენსე | 19 | 6 | 4 | 9 | 23:31 | 22 |
| ვასკუ | 19 | 5 | 6 | 8 | 25:33 | 21 |
| პონტე პრეტა | 18 | 6 | 6 | 6 | 27:27 | 20 |
| ფორტალეზა | 19 | 5 | 4 | 10 | 20:27 | 19 |
| გრემიო | 18 | 5 | 3 | 10 | 21:27 | 18 |
| ჟუვენტუდე | 19 | 3 | 6 | 10 | 18:36 | 18 |
| გოიასი | 18 | 2 | 6 | 10 | 27:34 | 12 |

*შენიშვნა: „პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 4 ქულა, „ინტერნასიონალს“ დამატებული აქვს ორი ქულა, „ჟუვენტუდეს“ დამატებული აქვს სამი ქულა. თანაბარქულიანობისას უპირატესობა მოგებათა რაოდენობას ენიჭება*

## ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

**ᲑᲝ-19 ᲢᲣᲠᲜᲘ:** ფლამენგო — ფორტალეზა 0:2; კორიტიბა — ფლუმინენსე 3:0; ბაია — სან კეეტანო 0:0; გუარანი — ვიტორია 2:2; ინტერნასიონალი — ატლეტიკო მინეირო 3:3; ჟუვენტუდე — ფიგუეირენსე 1:2; კრუზეირო — ვასკუ და გამა 4:1; გოიასი — კორინთიანსი 1:1; სანტოსი — პონტე პრეტა 2:1

**ᲨᲣᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ** რიო დე ჟანეიროს სამივე დიდმა, დღესდღეობით კი უხეიროდ მოთამაშე კლუბმა წააგო: „ფლამენგომ“ შინ პატარა „ფორტალეზასთან“, „ფლუმინენსემ“ „კურიტიბასთან“, „ვასკუ და გამამ“ კი ლიდერ „კრუზეიროსთან“.

„ვასკუს“ კაპიტნობდა მზეცად ხმობილი ედმუნდო, და ახალი მწვრთნელის მაურო გალვაოს მისვლაც არაფერში დატყობია. „კრუზეიროომ“ 4:1 მოუგო, სამი გოლი დეივიდმა გაიტანა, ამათგან ორი კი თავურით.

ამ მოგების შემდეგ „კრუზეიროომ“ ხუთი ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე მყოფი „სან პაულუ“, თუმცა ერთი თამაშით მეტიც აქვს ჩატარებული. მესამეზეა „სანტოსი“, რომელსაც კვლავ აკლდა სანაკრებო ტურნირში ჩაბმული რამდენიმე ფეხბურთელი და გვარიანი ... [illegible]

მექსიკელმა ომარ ბრიკენომ ჰონდურასელი ხულიო ლეონი დაქაჩა და შეჯიბრებიდან მოისროლა

## ᲙᲝᲜᲙᲐᲙᲐᲤᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ 2003

**A ᲯᲒᲣᲤᲘ**
**II ᲢᲣᲠᲘ**

**ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ 0:0 ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ**

*ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ*

**ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰონდურასი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

**B ᲯᲒᲣᲤᲘ**
**II ᲢᲣᲠᲘ**

**ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ 1:1 ᲒᲕᲐᲢᲔᲛᲐᲚᲐ**

0:1 რუისი (21), 1:1 მოლინა (79)

*იამაიკა ისვენებს*

**ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| იამაიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| გვატემალა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ — ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ**
**ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ — ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲐ**
**ᲙᲘᲣᲑᲐ ᲠᲘᲙᲐ — ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘ**
**ᲐᲨᲨ — ᲙᲣᲑᲐ**

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚ-ᲨᲘ
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# მე რა მაპლიერებს

## ფერგიუსონი უულვაფო მიმინოა

**განვლილი** სეზონის დასაწყისში, ანუ დაახლოებით ერთი წლის წინ, სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, მწვრთნელობა მომწყინდა, გზა კარლოს კეირუშს უნდა დავუთმოო.

სეზონი „მანჩესტერ იუნაიტედმა" პრემიერლიგის ჩემპიონობით დაასრულა. „წითელმა ეშმაკებმა" ლონდონელ „მეთოფეებს" იარაღი მაისის თვეში აჰყარეს.

გამარჯვებით გახარებულმა შოტლანდიელმა გეგმები ამ ზაფხულს შეცვალა. დევიდ ბექემი მადრიდის „რეალში" გაისტუმრა, ზედ კარლოს კეირუშიც მიაყოლა და ახლა „მანჩესტერში" დარჩენას აპირებს.

„წინა სეზონმა ისე მასიამოვნა, რომ წასვლა გადავფიქრე — თქვა ფერგიუსონმა — ახლა 61 წლის ვარ და მწვრთნელობას 92 წლამდე ვაპირებ". რატომ 92-მდე და არა 87-მდე ან 104-მდე, ცხვირშეჭარხლულმა შოტლანდიელმა არ განმარტა.

პრემიერლიგის მორიგმა მოგებამ და გუნდში მომხდარმა ცვლილებებმა სერ ალექსი შეცვალა. ამ ფაქტს ხშირად აღნიშნავს ხალხი, რომელიც მას არასამუშაო დროს, ქუჩაში მიმავალს ხედავს. ფერგიუსონი თურმე ქუჩაში საკმაოდ ხმამაღლა წაუმღერებს ხოლმე, ხუმრობისა და გართობის ხასიათზეა, რასაც აღრე ვერ იტყოდით. ნეტავ, რა უნდა იყოს მიზეზი? ვითომ, ბექემის მოშორება?

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვიეირა არც მიწისაა, არც ცისა

**მადრიდის** „რეალმა" აღიარა, რომ „არსენალთან" ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონის, პატრიკ ვიეირას თაობაზე აქვს მოლაპარაკება და მისი ტრანსფერის ანუ წასვლა-დარჩენის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.

ვიეირა 27 წლისაა და ლონდონელებთან, კონტრაქტის თანახმად, ერთი წელიწადიც აკავშირებს. ამასთან, როგორც ირკვევა, ფრანგს ახალ გუნდში გადასვლაზე ჯერ არ უთქვამს თანხმობა.

„რეალის" ახალმა თავკაცმა, კარლოს კეირუშმა თქვა:

„ვიეირა ძალიან კარგი ფეხბურთელია. იგი „არსენალიდან" თუ წავა, მერწმუნეთ, „რეალის" გარდა უამრავი მთხოვნელი გამოუჩნდება, უპირველეს ყოვლისა კი „მანჩესტერი" ან „ლივერპული". ჩემი აზრით რას იზამს? ვფიქრობ, შანსები 50-50-ზეა. ამ წუთას არც აქეთაა და არც იქით".

ვიეირას შეძენის მსურველთა შორისაა „ჩელსიც", თუმცა „არსენალის" ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი დაჟინებით ამბობს, რომ ვიეირაც და თავდამსხმელი ტიერი ანრიც რჩებიან.

დინი: „მთელი ეს ჭორაობა ძალიან მაღიზიანებს. ანრი და ვიეირა „არსენალიდან" არსად მიდიან და ეს ცალკე ფეხბურთელებმაც დაადასტურეს, ცალკე კი კლუბმა. „არსენალი" საუკეთესო ფეხბურთელებს არ ყიდის. ჩვენ არ დავისუსტებთ თავს, რათა მოწინააღმდეგეები გავაძლიეროთ. ფულის შოვნას დახარბებულები არ ვართ".

თუმცა „ჩელსიდან" ანონიმური ხმა გამოვიდა: „არსენალმა" იქნებ თქვას, რომ ვიეირა არ იყიდება, მაგრამ სინამდვილეში ვიეირამ შეიძლება ახალ კონტრაქტზე ხელი არ მოუწეროს და მაშინ ნახავთ, რაც მოხდებაო.

**პაპუნა კედია**

# რომას ფორვარდი უნდა ფული? დელვეკიოს გაყიდის

იტალიელი თავდამსხმელის, მარკო დელვეკიოს რომაული კარიერა ყოველი ნიშნის მიხედვით დასრულდა ან დასასრულს მეტისმეტად მიუახლოვდა. ამბობენ, რომ მომავალი სეზონიდან მას ინგლისში უნდა ველოდოთ.

ერთი სიტყვით, „რომამ" დელვეკიო გასაყიდთა სიაში ჩაწერა და თავად ფორვარდსაც მაინცდამაინც არ გაუპროტესტებია ეს ამბავი.

იმასაც ამბობენ, რომ მას მერე, რაც 12 მილიონ გირვანქად რუმინელი კრისტიან კივუ იყიდა, სენსის ფული შემოაკლდა, არადა, ნათქვამი ჰქონდა, რომ შემდეგ ეტაპზე თავდამსხმელის შეძენას გეგმავდა. კერძოდ, ახსენებდნენ „რეალის" ფორვარდ ფერნანდო მორიენტესს და აიაქსელ ზლატან იბრაჰიმოვიჩს.

**პაპუნა კედია**

# მათეუსი ინტრიგის მაღაზეა

## ჩვენ მაგ უმადურისთვის საჯდომები დავიგლიჯეთ



**ლოთარ მათეუსი** ჭირვეული კაცია. გამოსათხოვარი მატჩის შემოსავალი სადავო რომ გახდება, სირცხვილია, მაგრამ მათეუსი თავისი წილი ფულის მისაღებად სასამართლოში მისვლასაც არ ითაკილებს.

2000 წელს „ბაიერნმა" გამოსათხოვარი მატჩი მოუწყო და შემოსავლის ნაწილი ფეხბურთელისთვის უნდა გადაეცა. მათეუსმა კიდეც მიიღო გარკვეული თანხა, მაგრამ დათვლისას დანაკლისი აღმოაჩინა.

მაშინ იგი „ბაიერნის" ბოსებს მართლმსაჯულებით დაემუქრა, მაგრამ ბოლო წუთს დაამუხრუჭა.

მას მერე ორი წელი გავიდა და ლოთარ მათეუსი ახლებურად აჭიკჭიკდა: „თავიდან ორი მატჩი დაგეგმეს. ერთი გერმანიის საფეხბურთო კავშირს უნდა მოეწყო, მეორე — „ბაიერნს". „ბაიერნში" გატარებული ბოლო ექვსი სეზონის მანძილზე ჯამაგირის მომატება არ მითხოვია. საკომპენსაციოდ კლუბს მოვურიგდი, რომ ორი გამოსათხოვარი მატჩის შემოსავლიდან სამ მილიონ მარკას მომცემდნენ. საფეხბურთო კავშირმა თამაშის ორგანიზებაზე უარი თქვა, ანუ ერთი შეხვედრა ჩაშალა. ჩემთვის ძუნწობა რომ არ დაებრალებინათ, ეს სამი მილიონი მთლიანად არ მოვითხოვე და „ბაიერნს" ფაქტობრივად ვაჩუქე, ანუ დავუზოგე. ხოლო იმ თანხას, რომელიც კლუბისგან მივიღე და კიდეც მეკუთვნოდა, ნამდვილად აკლდა ნახევარი მილიონი მარკა".

ეს ამბავი „ბაიერნის" პრესატაშემ რომ გაიგო, იღრიალა: „ჩვენ მისთვის უკანალები დავიგლიჯეთ, განუმეორებელი ზეიმის გამართვა გვსურდა, ისეთი პატივით გავაცილეთ, სხვა გერმანელ სპორტსმენებს რომ არ ღირსებიათ. საკუთარ თავს ვეკითხებოდით, კიდევ რა ეამება ლოთარს? ის კი არაკაცი ყოფილა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვაი, რა შტერუკელები არიან

## რას ერჩით ფრანჩესკო ტოტის: ხაცი საკუთარ სისულელეებს დასცინის

**წელიწადში** ხუთ და ექვს მილიონ ევროს რომ იღებ, სანაცვლოდ ვარჯიშებზე ლიტრა, ოფიციალურ მატჩებში კი ათჯერ მეტი ოფლი უნდა დაღვარო.

ასეთ პირობებში ფეხბურთელს წიგნის კითხვას ვინ დააძალებს? მთავარიხომ პროფესიონალიზმია და ზოგადი სწავლა-განათლება მოთამაშეთა უმეტესობას გვერდზე რჩება.

ხშირია შემთხვევა ფეხბურთელების ცხოვრებაში, როცა მათი სულელური გამონათქვამები საზოგადოებას ახალისებს.

არაერთი კონფუზი ახსოვს რომაელ ფრანჩესკო ტოტისაც, ისიც ბევრჯერ გაწითლებულა საკუთარი მამალი სისულელის გამო. და ეს ყველაფერი მან ერთად მოაქუჩა, მწერალს დააწერინა, აკინძა, დაბეჭდა და გასაყიდად გაუშვა. ორ კვირაში 150 ათასი გასაღდა. ტოტი წიგნში საკუთარ თავს დასცინის და მკითხველსაც გულიანად აცინებს.

ჩვენც ავდგეთ და ერთ ამბავზე გავიცინოთ ტოტის ამ წიგნიდან.

მაშ ასე, უკვე დაკაცებულმა „რომას" კაპიტანმა მოზაიკით გართობა გადაწყვიტა.

მოზაიკა ერთგვარი ასაწყობი სათამაშოა ბავშვის გონების გასავარჯიშებლად. დახვრეტილ დაფაზე სხვადასხვაფერის მცირე ფიგურები უნდა ჩაისვას, რაც საბოლოოდ გარკვეული სურათის სახეს იღებს.

თვალსაჩინოებისთვის უკვე აწყობილი სხვადასხვა საგნის სურათების ალბომი სათამაშოს თან ერთვის. ბავშვს შეუძლია, ალბომიდან აირჩიოს და იმის მიხედვით ააწყოს.

უცნობია, რას აწყობდა ფრანჩესკო ტოტი, ფოთოლს, ავტომობილს თუ ბურთს — მაგრამ საამისოდ...

მოცალეობის ჟამს ოთხი, დიახ, ოთხი თვე დასჭირდა. ოთხთვიანი მუხლჩაუხრელი შრომის შემდეგ ფეხბურთელმა თავის ნახელავს დახედა, მეგობარს აჩვენა და სრული სერიოზულობით უთხრა: „მე გენიოსი ვარ! ამ საქმეს სულ, მცირე, ორი-სამი წელიწადი სჭირდება!"

მეგობარმა არ შეიმჩნია და სერიოზულადვე ჰკითხა: „რატომ ორი ან სამი?". ტოტიმ სათამაშოს ყუთი აიღო, თმები კეფაზე გადაიყარა და ნიშნის მოგებით წარწერაზე მიუთითა.

ყუთზე ეწერა: „2-3 წლის", ოღონდ არ იყო მინიშნებული, ბავშვებისთვის თუ გონებაჩლუნგი ფეხბურთელებისთვის.

მრავლისმთქმელი პაუზის შემდეგ მეგობარმა ტოტის მორიდებით აუხსნა, უფრო სწორად, შეაპარა, რომ ეს ორი-სამი წლის ბავშვების სათამაშოა. ეჰ, ფრანჩესკო...

**ვაჟა ხუციშვილი**

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ხელფასის დღე

ახლა სულ ტრანსფერებზეა ლაპარაკი. გასაკვირიც არაა, იმიტომ რომ ზაფხულია და გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. არსებობს, მაგალითად, რომან აბრამოვიჩის სია, განუხორციელებელი, მაგრამ ჭკვიანური. თუმცა ნაწილობრივ მაინც განხორციელებული. მისგან დიდი ვარსკვლავების სასწრაფოდ ყიდვის გულუბრყვილო სურვილის გამო ხითხითმა რომ გადაიარა, გაირკვა, რომ „ჩელსი" გვარიანად მოძლიერდა და თუ კრისტიან ვიერი ვერ იყიდა, უკვე ჰყავს დაფი, ჯონსონი, ბრიჯი, ალბათ სულ მალე ვერონიც, რომლებიც აშკარად აძლიერებენ „ჩელსის".

ასე რომ, ჩუჭების გუბერნატორი ჭკვიანურ ვაჭრობაში არცთუ სულელი გამოდგა და ახალი რუსებისთვის დამახასიათებელი ის თვისება რომ არა, როცა ჰგონიათ, ფულზე ყველაფერი იყიდებაო, მისი საკრიტიკო ალარაფერი დაგვრჩებოდა. „ჩელსი" ჭკვიანურად ვაჭრობს, მაგრამ დახეთ, რა სარგებლიანად და უხმაუროდ ვაჭრობენ, ვთქვათ, „ინტერნაციონალე" და „რომა". ესენი არც ბექემზე გაქაჩულან და არც რონალდინიოზე, მაგრამ ზუსტად და სწორად კი იყიდეს ბიჭები.

სამაგიეროდ, გადახედეთ ახალ ამბებს და აღმოაჩენთ, რომ ვერავის ყიდულობს ლონდონის „არსენალი", რომლის უფროსობამაც იხუმრა, სამწუხაროდ, რუსი მილიარდერი არსად შეგვხვედრიაო. „არსენალი" ახალ სტადიონს აშენებს ამბარტონ გროუვზე და ფეხბურთელებში ფულს ვერ გადაიხდის. მეტიც, ეგებ პატრიკ ვიეირაც კი გაექცეს. საერთოდ, რამდენიმე გიჟური სეზონის შემდეგ, როცა კლუბები 60 მილიონებს და ასეთ თანხებს იხდიდნენ ფეხბურთელებში, ვითარებაც შეიცვალა. „მანჩესტერს" ვერონი რაც დაუჯდა, იმის ნახევარ ფასში ელევა, ძალიან ბევრგან კი კლუბები ბრაზით ხვდებიან თავიანთი ვარსკვლავების სურვილებს ხელფასის მომატების შესახებ. სადაც „ბარსელონა" პატრიკ კლუივერტს ეჭიდავებოდა და სადაც „არსენალი" ვიეირას მადას ვერ ერევა, იქ სხვები რაღას იზამენ? მადრიდის „რეალმა" ლამის მთელი მეორე შემადგენლობა დააყენა ტრანსფერზე, რათა ბექემისთვის სახელფასო ნულები გამოათავისუფლოს.

ამასობაში კი, ბრაზილიიდან საბოლოო დანიშნულების პუნქტის უცოდინრად მოცურავს იახტა სახელად რონალდინიო, რომლის გასაყიდადაც „პარი სენ ჟერმენმა" ლამის გაეროს ინსპექტორებს უხმო. პსჟ-ში ვარჯიშები ერთი კვირის დაწყებულია, რონალდინიოს შესახებ კი ამბობენ, თითქოს ლონდონშიაო, თუ რიოშიო, თუ „ბარსელონაში" გადადისო, „მანჩესტერამდე" არც მისულაო, ფულს ფერგიუსონი იხდის, მაგრამ ლაპორტა ყიდულობსო, ეს ყველაფერი ბექემის ვითომ „ბარსაში" გადასვლასთანაა დაკავშირებულიო და ყველაფერი ვერაგულად კეთდებაო.

თუმც, ვერაგობა რა შუაშია, არ ვიცი. ხელფასებს კი ხელს უჭერენ.

# სამწლიანი ვარცხნილობა

## ფეხბურთი გულზე მევალესავით გადი-გამოდის



**გლენ რიოდერის გულის წამალი კარგი თამაში ყოფილა**

**ინგლისიდან** ჩამოგრიალებულ წვრილამბავთა კონას კვლავ გთავაზობთ.

პრემიერლიგიდან გავარდნილი „ვესტ ჰემის" ქომაგებმა საავადმყოფოდან მწვრთნელის, გლენ რიოდერის გამოსვლით გაიხარეს. გულმა მას მაისის ბოლოს უღალატა, როცა „ჩაქუჩებმა" „მიდლსბროს" მოუგეს. მიუხედავად ამისა, ლონდონელები მეორე დივიზიონში დაქვეითდნენ.

გამოჯანმრთელებულმა მწვრთნელმა თავისი ადგილი დაიკავა და მისმა გუნდმა პირველი ამხანაგური მატჩი 4:0 მოიგო.

გახარებულმა რიოდერმა ნამატჩევს თქვა: „თვენახევრის წინ, შეუძლოდ რომ გავხდი, საქმის მიტოვება განვიზრახე. ახლა, როცა ჩემი ბიჭები და მათი გატანილი გოლები ვნახე, დასვენება გადავიფიქრე, რადგან ფეხბურთმა ამ ქვეყნისკენ კვლავ მომაბრუნა. ალბათ, ვერც ვხვდები, რაოდენ სერიოზული იყო ჩემი ავადობა, მაგრამ მომავალი სეზონის დაწყებისთანავე ყველაფერი დამავიწყდება".

დევიდ ბექემის სიძე ჯერმენ დეფო „ვესტ ჰემიდან" წასვლას არ აპირებს: „ჩემი დარჩენა თითქმის გადაწყვეტილია, მომავალ სეზონში ისევ ვიჩაქუჩებ".

პირველ დივიზიონს და გლერ რიოდერ ტრევორ სინკლერი გაექცა. 30 წლის ფორვარდი „მიდლსბროს" და „მანჩესტერ სიტის" სურდათ. საბოლოოდ „ვესტ ჰემი" მანჩესტერელთა პირობებმა მოხიბლა და სინკლერი 2 მილიონ 500 ათას ევროდ კევინ კიგანს დაუთმეს.

ლონდონში „ჩაქუჩების" გარდა „მამლებიც" არიან. „ტოტენჰემს" გერმანელი კრისტიან ციგე გამოუკეთდა. 31 წლის ფეხბურთელმა ფანები დაიმედა: „ახალი სეზონიდან თქვენ სულ სხვა ციგეს იხილავთ. მცირე ტკივილებს ვგრძნობ, მაგრამ, ვფიქრობ, მალე გაივლის".

„მამლებმა" მეორედივიზიონური „ბრაიტონიდან" თავდამსხმელი გადაიბირეს. ლონდონში დაბადებული 22 წლის ბობი ზამორა ორი სეზონია „ბრაიტონში" თამაშობს და 119 მატჩში 70 გოლიც გაიტანა. ზამორას „ტოტენჰემში" რობი კინს და ელდერ პოსტიგას დაახვედრებენ. ასე, რომ გლენ ჰოდლმა საკმაოდ ძლიერ მეგოლეთა ტრიო შეკრა და მეტოქეებს დაწიოკებას უპირებს.



**ივან კამპო ფაფარს ისევ ინგლისში გაშლის**

დაქვეითებულ „სანდერლენდს" მევალეებმა შეუტიეს. გუნდს სახელდაგდებული ირლანდიელი მწვრთნელი მიკ მაკარტი ჰყავს. მას ფეხბურთელები შეიძლება შემოდგომამდე შემოაძარცვონ.

პირველ რიგში გასაყიდთა სიაში დანიელი მეკარე ტომას სორენსენი, კევინ ფილიპსი და ტორე ანდრე ფლო შეიყვანეს. სორენსენს, ისევე როგორც ფილიპსს და ფლოს, მეორე დივიზიონში ყოფნა არ სურთ, მაგრამ საკუთარი მომავლის შესახებ ჯერ არაფერი იციან. ფაქტია, რომ „სანდერლენდს" ფული სჭირდება და ვინ იყიდის და ვინ გადაუხდის ფეხბურთელებში თანხას, ალბათ ეს ნაკლებმნიშვნელოვანია.

მსურველი ნორვეგიელ მეგოლეს უკვე გამოუჩნდა. სერია A-ში აღზევებულ „სიენას" აყლაყუდა ფორვარდის წაყვანა სწადია და ეს ამბავი ფეხბურთელის აგენტმა, გუნარ მარტინ კიენაარმაც დაადასტურა.

რაც შეეხება ფილიპსს, მას გლაზგოს „რეინჯერსიდან" ცალყბად შეეხმიანენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაფერი ლაქლაქის დონეზეა.

„ლიდსის" გულეშმატკივრებმა თითქმის დაუჯერებელი ამბავი შეიტყვეს — იორკშირულმა კლუბმა ფეხბურთელი კი არ გაყიდა, პირიქით დაიმატა, და სანაცვლოდ პენსიც არ გადაიხადეს. „ჩელსისგან" განთავისუფლებული ჯოდი მორისი „ლიდსელებს" მუქთად ერგოთ. 24 წლის ნახევარმცველმა „ჩელსის" მაისურით პრემიერლიგაში 124-ჯერ ითამაშა და ოდენ ხუთი გოლი მიითვალა.

შარშან „ბოლტონში" ერთი წლით ვანათხოვრებული ივან კამპოს თამაში და მის ვარცხნილობა იქაურებს ეამათ და ახლახანს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმებს.

მადრიდის „რეალის" ყოფილი მცველი გასულ სეზონში 30-ჯერ გავიდა მოედანზე და „ბოლტონის" მწვრთნელს სემ ალარდაის აიქმევინა: „ბედნიერი ვარ რომ ასეთი მაღალი კლასის მოთამაშე, „რეალის" სკოლაგმოვლილი, ჩვენთან თამაშზე დაყაბულდა".

**ვაჟა ხუციშვილი**

**გაჰრვებულ „ლიდსს" ჯოდი მორისი უფასოდ ერგო**



**ტორე ანდრე ფლოს იტალიაში ელიან**

# შანსული ჰესკისთვის

**ემილ ჰესკის** ამბავს მოგახსენებთ. გასულ სეზონში ამ ინგლისელმა ფორვარდმა ისე ცუდად ითამაშა, რომ ჩემპიონატში ექვს გოლზე მეტი ვერ გაიტანა და აღარც ნაკრებში იძახებენ, მაგრამ „ლივერპულის" მწვრთნელმა ჟერარ ულიემ თქვა, რომ 25 წლის ფეხბურთელს კიდევ ერთ შანსს მისცემს:

„ემილმა „კოლონთან" კარგად ითამაშა და გოლიც ჩინებულად შეაგდო. მე მას ყოველთვის მხარში ვედექი, თუმცა ახლა ჩემი მხარდაჭერა მგონი აღარ სჭირდება. მის ამპლუაში, მისი დონის მოთამაშეები ბევრნი არ არიან, მაგრამ ჩვენთან სირთულე ის არის, რომ პოზიციას კიდევ სამი ფორვარდი ეცილება".

არგენტინულ „კოლონთან" „ლივერპულმა" ამხანაგურად ითამაშა.

ეს ფეხბურთელები გახლავან მილან ბაროში, ჰარი კიუელი და მაიკლ ოუენი.

ხოლო ინგლისის ნაკრების შვედმა თავკაცმა, სვენ გორან ერიკსონმა თურქეთთან და სლოვაკეთთან სათამაშოდ ჰესკის ნაცვლად 17 წლის უეინ რუნის გამოუძახა.

**ბაბუნა კედია**



# დი სტეფანოს კმაყოფილება უნდოდა

## გგონიათ, სანტიაგო ბერნაბეუ მხოლოდ დიდი პრეზიდენტი იყო? შანტაჟი – აი, მისი იარაღი

*... ორი წელი „რეალში“ უნდა მეთამაშა, მერე კი, ასევე ორი წლით, „ბარსელონაში“ გადავსულიყავი.*

*... ბოროტი ენები ამბობდნენ, „ბარსას“ არ ვეთმობოდი, მაგრამ სანტიაგო ბერნაბეუმ ენრიკე მარტის შანტაჟი მოუწყოო.*

*... ძალიან კი მინდოდა მეთქვა: ვენი, ვიდი, ვიცი, მაგრამ არ გამომივიდა.*

*... ჩემი მოტყუება ძალიან იოლი იყო და ზოგი ამით სარგებლობდა.*

*... ხანდახან მაინც მგონია, რომ ფეხბურთს უფრო მეტი შევწირე, ვიდრე სანაცვლოდ მივიღე.*

### მესამე ტაიმი

„რეალში“ კი გადავედი, მაგრამ ჩემი პრობლემები ამით არ დასრულებულა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, თავად რომ ვერ გაარკვია, „რეალის“ საკუთრება ვიყავი თუ „ბარსელონასი“, დასახმარებლად ფიფას მიმართა. ფიფამ თავი დიდად არ შეიწუხა და გადაწყვიტა, სანამ კლუბები თავად არ მორიგდებიან ერთმანეთში, დი სტეფანო ვერ ითამაშებსო. გარდა ამისა, ფიფამ „რეალს“ და „ბარსელონას“ შუამავალიც მიუჩინა, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი არმანდო მუნიოს კალერო.

კალერომ კლუბებს კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა: ორი წელი „რეალში“ უნდა მეთამაშა, მერე კი, ასევე ორი წლით, „ბარსელონაში“ გადავსულიყავი.

„ბარსელონას“ პრეზიდენტი ენრიკე მარტი ამ ვარიანტს დათანხმდა. ალბათ, სწორეც იყო. „ბარსა“ ყველაფერს მიყოლებით იგებდა, ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავდა და ჩემი მისვლა არასასურველ გადაადგილებებს გამოიწვევდა. სხვათა შორის, „ბარსას“ მაშინდელი 45-ათასიანი სტადიონიც მუდმივად გადაჭედილი იყო.

ერთი მომენტიც იყო: ცენტრფორვარდად „ბარსელონას“ კუბალა ჰყავდა და მე როგორ მათამაშებდნენ? ამავე დროს ამბობდნენ, რომ მას ფილტვები აწუხებდა და დიხანს თამაშს ვეღარ შეძლებდა, ამიტომ კატალონიელებისთვის უკეთესიც კი იყო, მათთან ორი წლის მერე, კუბალას წასვლისას თუ მივიდოდი.

ასე იყო თუ ისე, გამომიცხადეს: შენი საკითხი გადაწყდა, მადრიდში მიდიხარო. საღამოს 10 საათზე მატარებელში ჩავჯექი. დილას, თერთმეტის ნახევარზე მადრიდის სადგურში დამხვდნენ. პირდაპირ სამედიცინო შემოწმებაზე წამიყვანეს, ოთხის ნახევარზე კი, ისე რომ, ვარჯიშიც ვერ მოვასწარი, მოედანზე მიკრეს თავი — „რეალი“ ამხანაგურ მატჩში ფრანგულ „ნანსის“ ხვდებოდა.

მაშინ 26 წლისა ვიყავი. ორი სეზონი „რეალში“ და ორიც „ბარსელონაში“ — ესე იგი, ესპანეთში ოთხი წლით უნდა დავრჩენილიყავი. ახალგაზრდები ვიყავით და, მე და სარას ოთხი წელი მთელ ცხოვრებად გვეჩვენებოდა. ვინანე კიდეც, ნეტავ ორწლიან კონტრაქტზე მომეწერა ხელი-მეთქი.

ასე გავიდა ორი თვე და ჩემი კონტრაქტი გადასინჯეს. „ბარსელონამ“ ჩემზე უარი თქვა. „რეალმა“ კატალონიელებს ჩემზე დაახარუჯლი ფული აუნაზღაურა და ეგრეთ წოდებული „ტრანსფერზე ინტერესის“ საზღაურიც მისცა. ბოროტი ენები ამბობდნენ, „ბარსას“ არ ვეთმობოდი, მაგრამ სანტიაგო ბერნაბეუმ ენრიკე მარტის შანტაჟი მოუწყოო. როგორც ამბობდნენ, „ბარსას“ პრეზიდენტს პირად ბიზნესში სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და მადრიდელები ყველაფრის გამომზეურებით დაემუქრნენო.

ამგვარად, „რეალში“ მთელი ოთხი წლით მიწევდა დარჩენა და ისღა დამრჩენოდა, მადრიდში მუდმივი საცხოვრებელი სახლი მომეძებნა.

### ადაპტაცია

ისევ ჩემი მადრიდული ეპოპეის პირველ დღეს, 23 სექტემბერს მივუბრუნდები. ძალიან კი მინდოდა მეთქვა: ვენი, ვიდი, ვიცი, მაგრამ არ გამომივიდა — „ნანსისთან“ 2:4 წავაგეთ. ბრწყინვალე გუნდი იყო, ტაკორონტე, პიანტონი და ტოტო ლორენსო თამაშობდნენ. ტოტოს ჯერ კიდევ არგენტინიდან ვიცნობდი, „ბოკაში“ თამაშობდა, მოგვიანებით კი მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელი გახდა. ჩვენ კი უძლიერესი შემადგენლობით არ გვითამაშია, როგორც ხშირად ხდება ამხანაგური მატჩებისას.

მაგრამ პირადად მე მაინც კმაყოფილი დავრჩი, რადგან დიდი ხნის უთამაშებელ-უვარჯიშებელმა გოლი გავიტანე, თანაც, თავით.

„ნანსის“ ოთხშაბათს შევხვდით, კვირას კი ოფიციალურ მატჩში მქონდა დებიუტი. ესპანურ ლიგაში სანტანდერის „რასინგს“ ვხვდებოდით.

„რასინგს“ უფრო ძლიერი შემადგენლობით ვეთამაშეთ, საშინაო მატჩი იყო და 4:1 მოვიგეთ. ისევ გავიტანე, თუმც თამაში ძალიან გამიჭირდა: ერთი, რომ 5 კილო მქონდა მომატებული და თან თანაგუნდელებს წესიერად არ ვიცნობდი.

მაშინ ასეთი მოსაზრება არსებობდა, რომ სამხრეთამერიკული ფეხბურთი უფრო ტექნიკურია, ხოლო ევროპული — სწრაფი. მაგრამ ეს მე არ მეხებოდა, რადგან თავს საკმაოდ სწრაფ ფეხბურთელად ვთვლიდი. მთავარი პრობლემა პარტნიორებთან შეთამაშება იყო.

ცოტათი გადავუხვევ. „რეალი“ სახელიანი გუნდი იყო, მაგრამ იმხანად ვერაფერს იგებდა. კლუბმა სახელი სამოქალაქო ომამდე გაითქვა, მერე კი... წარმოიდგინეთ — 1933-იდან 1954 წლამდე გუნდი მხოლოდ ერთხელ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. მაგრამ მე ეს ჩავარდნა ოდნავაც არ მაწუხებდა. სხვა რამეზე ვფიქრობდი, იმისზე, რომ „რეალი“ დედაქალაქის გუნდი იყო, ბრწყინვალე სტადიონი ჰქონდა, იქ დიდი ფეხბურთელები თამაშობდნენ და ყველაფერ ამას დამატებული დიდი ისტორია ძველი დიდების დაბრუნებისთვის ბრძოლას გვაიძულებდა. კლუბის ხელმძღვანელობა ამ ბრძოლაში მე მთავარ ფუნქციას მანიჭებდა და ეს მსიამოვნებდა. ბევრი ფულის შოვნაზე სულაც არ ვფიქრობდი. მინდოდა „რეალი“ კვლავ ტრიუმფატორი გამხდარიყო.

ჩემთვის ფული ყოველთვის მეორეხარისხოვანი იყო და ეგებ ამაში ვცდებოდი კიდეც. საქმე ის არის, რომ ჩემს გვერდით არასდროს მდგარა თანაშემწე, როგორც ახლა უწოდებენ — მენეჯერი, რომელიც ფინანსურ საკითხებს მომიგვარებდა. ამიტომ ჩემი მოტყუება ძალიან იოლი იყო და ზოგი ამით სარგებლობდა.

და მაინც: რა მივიღე საბოლოოდ? ესპანეთში ორი წლით ჩამოვედი, 4-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მას მერე, აგერ 50 წელია, აქ ვცხოვრობ. რომ ვუფიქრდები, ხანდახან წუწუნი კი მიყვარს, მაგრამ ბედის უმადური ნაღდად ვერ ვიქნები.

მაგრამ ხანდახან მაინც მგონია, რომ ფეხბურთს უფრო მეტი შევწირე, ვიდრე სანაცვლოდ მივიღე. განა იმიტომ, რომ უსაზღვროდ პატივმოყვარე ვარ, მებაიარაღეობა ჩემი საქმე არ არის. კი, სახელი და ჯილდოები მსიამოვნებდა, მაგრამ კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მას არასდროს ვიყენებდი.

ძალიან გადავუხვიე.

ჩემდა საბედნიეროდ, „რეალი“ სხვა ქალაქებში ავტობუსით ან მატარებლით დადიოდა, თვითმფრინავით თითქმის არასდროს ვსარგებლობდით. გასვლით თამაშებზე პარასკევს მივდიოდით, რათა დასვენებაც მოგვესწრო. ვაგონებშივე ვცხოვრობდით. ვაგონებს იოლად მივეჩვიე, გაცილებით ძნელი შესაგუებელი უცხო სტადიონები გამოდგა. „სანტიაგო ბერნაბეუ“ დიდებული იყო, სხვაგან კი უმეტესად ძველი, მოუვლელი სტადიონები გვხვდებოდა, ისეთივეები, როგორებიც არგენტინაში იყო.

მაგრამ ამ მხრივ, ნელ-ნელა ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდა. იმხანად ბარსელონაში „კამპ ნოუ“ ააშენეს, დიდებული სტადიონი. „სანტიაგო ბერნაბეუსაც“ რეკონსტრუქცია გაუკეთეს. მოკლედ, ფეხბურთში დიდი ფული იდებოდა.


ლადისლაო კუბალა




ენრიკე მარტის სანტიაგო ბერნაბეუმ შანტაჟი მოუწყო

# იტალიური ტრანსფერები 2003

## ანკონა

**მოვიდნენ**
კარუზი (კალიარი)
ჯაკობი (მესინა)
ლუიზი (სალერნიტანა)
მონტერვინი (ნაპოლი)
მოსკარდი (ჯენოა)
მუსი (არეცო)
პეკარიზი (არეცო)
მადს იორგენსენი (ბრონდბიუ, დანია)
მილანეზე (პერუჯა)
პანდევი (ინტერი)
მენიკინი (ბრეშა)
სკარპი (ინტერი)
ანდერსონი (კიევი)
ბერეტა (ატალანტა)
დი ფრანჩესკო (პიაჩენცა)
ესპოზიტო (ჩიტადელა)
ფაბიო ბილიკა (ბრეშა)
უბნერი (პიაჩენცა)
სუზი (ტერნანა)
ვიალი (პერუჯა)

**წავიდნენ**
ბუდანი (პალერმო)
კერიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე პატრე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაფიედი (ფიორენტინა ვიოლა)
მაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნდულა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პასილია (არეცო)
რობიატი (ინტერი)
სარი (მილანი)
სკარპი (ინტერი)
სკენარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტარანა (პარმა)

## ბოლონია

**მოვიდნენ**
გამბერინი (ვერონა)
როკატი (დანდი, შოტლანდია)
მანინგერი (ტორინო)
როსინი (ატალანტა)
დალა ბონა (მილანი)
გული (ინტერი)
მანინგერი (ტორინო)
ტროისე (ნაპოლი)

**წავიდნენ**
ფალკონე (სამპდორია)
პარამატი (რეჯინა)
სალვეტი (ვერონა)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ძანკი (იუვენტუსი)
არდიტო (სიენა)
ჩიპრიანი (პიაჩენცა)
კოპოლა (ასკოლი)
ფრარა (ტერნანა)
ილივე (ნაპოლი)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ემპოლი

**მოვიდნენ**
აგოსტინი (სიენა)
ფოჯა (ტრევიზო)
გასპარეტო (პრატო)
მირი (კატანია)
რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)
ბუჩი (ტორინო)
ტრამეცანი (ატალანტა)
ვეტორი (პრატო)
მ. ძანეტი (ვიჩენცა)

**წავიდნენ**
ალეგრეტი (კომო)
ატცორი (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
კაპელინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრიეკო (პარმა)
ვანუკი (პალერმო)
ბერტი (პალერმო)

## მოდენა

**მოვიდნენ**
ტალდო (კომო)
მოდესტო (კალიარი)

**წავიდნენ**
მორეტი (პარმა)
ძამბონი (ნაპოლი)
ალეგრეტი (კომო)
კორენტი (კომო)
მუსიჩი (კომო)
როსი (კომო)
სტელინი (კომო)
ჯ. კოლუჩი (ვერონა)
ფერარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორეტი (პარმა)
კალია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სკული (კიევი)

## ბრეშა

**მოვიდნენ**
ალიარდი (კოზენცა)
კარაჩოლო (პერუჯა)
კასტელაცი (კატანია)
ბოლუნი (მოდენა)
კორეა (მარტინა)
ე. ფილიბინი (პარმა)
გონსალესი (სალერნიტანა)
გუანა (კალიარი)
მატუზალემი (პარმა)
ნიგაარდი (ეინდხოვენი, ჰოლანდია)
სალგადო (ვერონა)
სტანკევიჩიუსი (კოზენცა)
ილანა (ვერონა)
ა. ლუკარელი (პალერმო)
რამონი (ტრიესტინა)

**წავიდნენ**
მენიკინი (ანკონა)
კორტელინი (ლუმეცანე)
ტონი (პალერმო)
აპია (პარმა)
ბილიკა (პალერმო)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
გვარდიოლა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მიჩილო (კოზენცა)
სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სერიჩი (ვერონა)
ფაბიო ბილიკა (ანკონა)

## პერუჯა

**მოვიდნენ**
კონჩეტი (ლაციო)
დო პრადო (კატანია)
ფილიპი (სამბენედეტეზე)
გატი (კატანია)
ჯედაფი (ალ იტიჰადი, საუდეთი)
ინოფო (აველინო)
მონაკო (კატანია)
პარიზი (რასინგი, არგენტინა)
ტერა (სორა)
დიამუტენე (ლუკეზე)
ალუ (ლიონი, საფრანგეთი)
ბიელანოვიჩი (კომო)
ბოტროიდი (ქოვენთრი, ინგლისი)
დი დიო (კატანია)
ტურჩი (სამბენედეტეზე)

**წავიდნენ**
ბარონიო (ლაციო)
ბლაზი (იუვენტუსი)
კარაჩოლო (ბრეშა)
მიკოლი (იუვენტუსი)
მილანეზე (ანკონა)
რეზაეი (ზობ ჰანი, მაროკო)
სოლიანო (ნაპოლი)
ვიალი (ვენეცია)

## რეჯინა

**მოვიდნენ**
დელ აკუა (ჩიტადელა)
პოტეკი (სლავია, ჩეხეთი)
პიერინი (პარმა)
ტედესკო (კოზენცა)
ძოპეტი (სალერნიტანა)
ბონაცოლი (პარმა)
ფალსინი (პარმა)
მარტინესი (ნაპოლი)
სოტილი (უდინეზე)
სტელონე (ნაპოლი)

**წავიდნენ**
კარდინალე (სალერნიტანა)
დი მიკელე (უდინეზე)
კანეირა (ბორდო, საფრანგეთი)
მაკრი (მარტინა)
მამედე (მესინა)
მორაბიტო (მესინა)
პიერინი (უდინეზე)
რიკა (მარტინა)
სავოლდი (ნაპოლი)
ძოპეტი (ასკოლი)

## რომა

**მოვიდნენ**
ლანძარო (კოზენცა)
დაკური (ლიდსი, ინგლისი)
მანჩინი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ბეპე (ტერამო)
დაგოსტინო (ბარი)
ლუპატელი (კიევი)
რანალი (კალიარი)
კიეუ (აიაქსი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფუზერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაფუ (მილანი)
მარაცინა (კიევი)
ანტონიოლი (სამპდორია)

## მილანი

**მოვიდნენ**
ალიუ (სიენა)
ბორიელო (ემპოლი)
ვაფუ (რომა)
ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
კოლონინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
პორკარი (პარმა)
რაბიტო (სამპდორია)
დი ნაურო (აველინო)
სარი (ანკონა)

**წავიდნენ**
ანტონინი (სამპდორია)
ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუდელი (ლეჩე)
შამოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დომიცი (სამპდორია)
დონადელი (პარმა)
დონატი (სამპდორია)
ფავარო (პარმა)
ჰელვეგი (ინტერი)
სტეფანი (პარმა)
ლეონარდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სამარკო (კიევი)
კუტუზოვი (კატანია)
აბუმეიანგი (ტრიესტინა)
კოლოჩინი (ვილიარეალი, ესპანეთი)
დალა ბონა (ბოლონია)
ხოსე მარი (ვილიარეალი, ესპანეთი)

## პარმა

**მოვიდნენ**
ამაური (მესინა)
აპია (ბრეშა)
ბოლანო (სამპდორია)
დონადელი (მილანი)
ფავარო (მილანი)
გრიეკო (ემპოლი)
მაჯო (ვიჩენცა)
მარკიონი (პიაჩენცა)
მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
პოჯი (ვენეცია)
სივილია (ატალანტა)
სტეფანი (მილანი)
ტარანა (ანკონა)
მორეტი (იუვენტუსი)
ბლაზი (იუვენტუსი)
მორფეო (ინტერი)
კარდონე (ვიჩენცა)
მორეტი (მოდენა)

**წავიდნენ**
ბასო (პრატო)
დიანა (სამპდორია)
ე. ფილიპინი (ბრეშა)
რ. მასარო (კომო)
მატუზალემი (ბრეშა)
პიერინი (რეჯინა)
პორკარი (მილანი)
ბონაცოლი (რეჯინა)
რუოპოლო (ჩიტადელა)
ტაფარელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიტიელო (ვიჩენცა)
აპია (იუვენტუსი)
ლამუში (ინტერი)

## ლეჩე

**მოვიდნენ**
აბრუცეზე (ფ. ანდრია)
ბილი (ბასტია, საფრანგეთი)
ბუდელი (მილანი)
კორალო (ტარანტო)
მორელო (ფ. ანდრია)
ნობილე (პოჯიბონზი)
პელიკორი (ვარეზე)
საგინო (ნაპოლი)
ტესტა (გუბიო)
ვინკლაარი (სორა)
ამელია (ლივორნო)
პანიკო (გელა)
რიცო (გუბიო)

**წავიდნენ**
კამორანი (სალერნიტანა)
დი ვიჩინო (სალერნიტანა)
ლასპალი (ნანტი, საფრანგეთი)
ლეო (ვიტერბეზე)
ნუცაჩი (ფ. ანდრია)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მ. როსი (პალერმო)
კორალო (კროტონე)
დე ტომა (ვიტერბეზე)
ჩირილო (სიენა)
კოქუ (სორა)

## ინტერი

**მოვიდნენ**
ბრნჩიჩი (ვენეცია)
ჰელვეგი (მილანი)
კარაგუნისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ლუსიანო (კიევი)
პერალტა (რასინგი, არგენტინა)
რობიატი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)
ლამუში (პარმა)
ბინოტო (კომო)
ფადიგა (ოსერი, საფრანგეთი)
ფარინოსი (ვილიარეალი, ესპანეთი)
ვან დერ მეიდე (აიაქსი, ჰოლანდია)
ბინოტო (კომო)
პერალტა (რასინგ აველანედა)

**წავიდნენ**
ბატისტუტა (ალ არაბი, ყატარი)
სემიოლი (კიევი)
სერენა (კომო)
ვივასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორფეო (პარმა)
დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია)
კანიერა (ბორდო, საფრანგეთი)
პანდევი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)
გული (ბოლონია)
პოტენცა (კიევი)

## კიევო

**მოვიდნენ**
ბრუნო (ასკოლი)
დანჯელო (ნაპოლი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
მარაცინა (რომა)
პარო (იუვენტუსი)
სკული (იუვენტუსი)
სემიოლი (ინტერი)
ვერონეზე (ვიჩენცა)
ძენკეტა (ვიჩენცა)
ამაური (მესინა)
მალაგო (ჯენოა)
სამარკო (მილანი)
მარკეჯანი (ლაციო)
ბარონიო (ლაციო)
ფრეცოლინი (ვენეცია)
სალა (ატალანტა)
ბარძალი (პიაჩენცა)
მორონე (პალერმო)
პინილია (ურივერსიდად დე ჩილე)
პოტენცა (ინტერი)
სანტა (პალერმო)

**წავიდნენ**
ამბროზიო (ჩელსი, ინგლისი)
დ. ანდერსონი (პალერმო)
ბირჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დელა მორტე (ვიჩენცა)
ჯანელო (სიენა)
გრასადონია (კალიარი)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ლუსიანო (ინტერი)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)
ლუპატელი (რომა)
მ. ლონგო (ტერამო)
ლორენცი (ატალანტა)
ნალისი (ლესტერი, ინგლისი)
მარაცინა (სამპდორია)
ბეგეტო (პიაჩენცა)
კორინი (პალერმო)
პასარინი (პატერნო)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)

## სამპდორია

**მოვიდნენ**
ანტონინი (მილანი)
დიანა (პარმა)
დომიცი (მილანი)
დონატი (მილანი)
მარაცინა (კიევი)
დონი (ატალანტა)
იაკოპინო (კატანია)
ჟობ-იიოკი (კრემონეზე)
მეკონგო-ონდოე (კრემონეზე)
პოსანინი (კატანია)
იანაგისავა (კაშიმა, იაპონია)
კ. ძენონი (იუვენტუსი)
ფალკონე (ბოლონია)
ანტონიოლი (რომა)
ბიანჭი (ლუკეზე)
კარუზერი (ტერამო)

**წავიდნენ**
ბოლანო (პარმა)
კაზაცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გასბარონი (პალერმო)
მიკელი (პიაჩენცა)
პაგანინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პინატო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაბიტო (მილანი)
კუჩიარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბერნინი (ნაპოლი)
სტენდარდო (პერუჯა)
ტრიკარიკო (სპეცია)

## იუვენტუსი

**მოვიდნენ**
ატირსონი (ფლამენგო)
კამორანეზი (ვერონა)
კარინი (სტანდარდი, ბელგია)
ლეგროტალიე (კიევი)
მიკოლი (პერუჯა)
მ. ვიერი (ვერონა)
ძანკი (ბოლონია)
აპია (პარმა)
მარესკა (პიაჩენცა)
მაიეტა (მესინა)
ბაიოკო (პიაჩენცა)
ბენჟამინი (რეჯანა)

**წავიდნენ**
არონიკა (მესინა)
ბონეფოი (მესინა)
გასტალდელო (კიევი)
ჯენტილე (მესინა)
ლავეკია (მესინა)
პარო (კიევი)
სკული (კიევი)
კ. ძენონი (სამპდორია)
ბლაზი (პარმა)
მ. ვიერი (ნაპოლი)
ფრარა (ტერნანა)
სალასი (რივერ პლეიტი, არგენტინა)

## სიენა

**მოვიდნენ**
დელი კარი (ტორინო)
ჯანელო (კიევი)
ვორია (აველინო)
დავერსა (ტერნანა)
არდიტო (ბოლონია)
არანო (რასინგ აველანედა)
ჩირილო (ლეჩე)
ფოლიო (ატალანტა)
მენეგაცო (ჟუვენტუდე)
როსი (ლეჩე)

**წავიდნენ**
აგოსტინი (ემპოლი)
ალიუ (მილანი)
ფორტინი (ტრევიზო)
კავალო (ჯენოა)
მანდელი (ტორინო)
მარტინელი (ტორინო)
პინგა (ტორინო)
სკალეტა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტალიალატელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტირიბოკი (ტორინო)
რადიკე (პიაჩენცა)
ბრამბილა (კალიარი)

## უდინეზე

**მოვიდნენ**
ბედინი (კოზენცა)
დი მიკელე (რეჯინა)
გარგო (ვენეცია)
გუტიერესი (მესინა)
გ. მარტინესი (ნაპოლი)
მიკოლუჩი (პესკარა)
მუსლიმოვიჩი (ასკოლი)
ნალიცისი (აეკ, საბერძნეთი)
პაზენცა (ფოჯა)
სოზა (ხიმნასია, არგენტინა)
ელგერა (ალავესი, ესპანეთი)
პიერინი (რეჯინა)

**წავიდნენ**
ბონაიუტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სოტილი (რეჯინა)

## ლაციო

**მოვიდნენ**
ბარონიო (პერუჯა)
ინოჩენტი (ბარი)
კ. მანფრედინი (ოსასუნა, ესპანეთი)
მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)
დაბო (ატალანტა)
ოლა (აკილა)
ძაური (ატალანტა)
სერენი (ბრეშა)

**წავიდნენ**
ბარონიო (კიევი)
კონჩეტი (პერუჯა)
ლაზეტიჩი (კომო)
მარკეჯანი (კიევი)
სიმეონე (ატლეტიკო, ესპანეთი)

# სარბიელი ✆ კროკი

## წარმოგიდგენთ

## დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. II ტური** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 013 | აარაუ-გრასჰოპერი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 22.30 | 014 | ქსამაქსი-სტ.ვალენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.30 | 015 | ციურიხი-სერვეტი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **რუსეთი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 018 | ტორპედო-ცსკა | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 16.00 | 019 | ურალანი-ალანია | 1,5 | 2,9 | 4,4 | 1 | 1,11 | 1,74 |
| 16.00 | 020 | ზენიტი-კრილია | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 16.00 | 021 | შინიკი-მეტალურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 022 | შინიკი-მეტალურგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 16.00 | 023 | რუბინი-სატურნი | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| 16.00 | 024 | როტორი-ჩერნომორეცი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 025 | სპარტაკი-როსტოვი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 16.00 | 026 | დინამო-ლოკომოტივი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **შვედეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 030 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 22.00 | 031 | მალმიო-ელფსბორგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 032 | მალმიო-ელფსბორგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **შვედეთი. XV ტური** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 033 | იოსტერი-ენკიოპინგი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **ნორვეგია. XIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 036 | მოლდე-ხოვნდალი | 2,05 | 3,4 | 3,2 | 1,27 | 1,24 | 1,64 |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 037 | ბოდიო გლიმტი-ოდ ვერენლანდი | 2,0 | 3,5 | 3,2 | 1,27 | 1,23 | 1,67 |
| 21.00 | 038 | სტაბეკი-ვიკინგი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| 21.00 | 039 | ბრინი-ალესუნდი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 21.00 | 040 | ტრომსიო-რუსენბორგი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 21.00 | 041 | ლილესტრიომი-ლინი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 042 | ვოლერენგა-ბრანი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **XIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 046 | ჯაზი-ჰიკ | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 047 | ჰაკა-ჰაამეენლინა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 048 | ჰაკა-ჰაამეენლინა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 049 | კტპ-ინტერი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 20.30 | 050 | ლაჰტი-მიუპა | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| | | **ინტერტოტოს თასი. III ეტაპი** | | | | | | |
| | | **I მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 066 | ტობოლი-პაშინგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.30 | 067 | პერუჯა-ალიანსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 068 | ეგალეო-კოპერი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 20.00 | 069 | დაჩია-შალკე | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 00.30 | 070 | რასინგი-ლიბერეცი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.15 | 071 | სინოტი-ვოლფსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.30 | 073 | ჰერენვენი-ლიერსი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.00 | 074 | ნანტი-ვილი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 075 | ნიცა-ვერდერი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 00.45 | 076 | ვილიარეალი-ბრეშა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.00 | 077 | გენგამი-ბრნო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 072 | ტამპერე-ციბალია | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 083 | ბორდო-ბრიუგე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 084 | ოსერი-პანათინაიკოსი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 085 | პანოვერი-რომა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |

## ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 19 ივლისი. (12.00)

| 4001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 4002 ექვსრ. ზრე | 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 2,6 | 4101 | 1,25 | 4201 | 1,12 | 2,5 | ფერარი | 2,05 |
| ბარიჩელო | 10,0 | 4102 | 2,7 | 4202 | 1,3 | 7,0 | მაკლარენი | 4,0 |
| რაიკონენი | 6,0 | 4103 | 1,9 | 4203 | 1,25 | 4,6 | უილიამსი | 1,65 |
| მონტოია | 3,5 | 4104 | 1,45 | 4204 | 1,25 | 4,0 | რენო | 15,0 |
| კულტჰარდი | 14,0 | 4105 | 3,6 | 4205 | 1,45 | 12,0 | ზაუბერი | 50,0 |
| რ.შუმახერი | 3,3 | 4106 | 1,35 | 4206 | 1,15 | 3,6 | ბარ | 40,0 |
| ალონსო | 25,0 | 4107 | 4,6 | 4207 | 1,5 | 20,0 | ტოიოტა | 50,0 |
| ტრული | 40,0 | 4108 | 7,5 | 4208 | 2,0 | 40,0 | ჯორდანი | 50,0 |
| ბატონი | 75,0 | 4109 | 15,0 | 4209 | 2,8 | 75,0 | იაგუარი | 40,0 |
| ვილნევი | 100,0 | 4110 | 20,0 | 4210 | 4,0 | 100,0 | მინარდი | 200,0 |
| ფისიჩელა | 100,0 | 4111 | 20,0 | 4211 | 4,0 | 100,0 | | |
| პანისი | 100,0 | 4112 | 20,0 | 4212 | 4,0 | 100,0 | | |
| ვებერი | 75,0 | 4113 | 15,0 | 4213 | 2,6 | 75,0 | | |
| ფრენჩენი | 100,0 | 4114 | 25,0 | 4214 | 4,0 | 100,0 | | |
| პიდფილდი | 100,0 | 4115 | 25,0 | 4215 | 4,0 | 100,0 | | |
| დი ატა | 100,0 | 4116 | 25,0 | 4216 | 4,0 | 100,0 | | |

## William HILL
## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

**შვეიცარია**
**II ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აარაუ — გრასჰოპერი | 4,0 | 3,4 | 1,72 |
| ქსამაქსი — სტ. გალენი | 1,72 | 3,4 | 4,0 |
| ციურიხი — სერვეტი | 1,8 | 3,3 | 3,75 |

**ნორვეგია**
**XIII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მოლდე — სოგნდალი | 1,9 | 3,25 | 3,4 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ბრინი — ალესუნდი | 1,8 | 3,4 | 3,6 |
| ლილესტრიომი — ლინი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| სტაბეკი — ვიკინგი | 2,1 | 3,1 | 3,1 |
| ტრომსიო — რუსენბორგი | 7,0 | 4,0 | 1,36 |

**21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლერენგა — ბრანი | 1,66 | 3,4 | 4,33 |

**ფინეთი**
**XIII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯაზი — ჰიკ | 4,0 | 3,4 | 1,72 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კტპ — ინტერი | 2,87 | 3,3 | 2,1 |
| ლაჰტი — მიუპა | 3,6 | 3,3 | 1,83 |
| ჰაკა — ჰამეენლინა | 1,33 | 4,33 | 7,0 |

**ინტერტოტოს თასი**
**III ეტაპი**
**I მატჩები**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — პაშინგი | 2,2 | 3,3 | 2,75 |
| დაჩია — შალკე | 4,4 | 3,4 | 1,72 |
| სინოტი — ვოლფსბურგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| ნანტი — ვილი | 1,36 | 4,0 | 7,0 |
| ჰერენვენი — ლიერსი | 1,66 | 3,5 | 4,2 |
| ეგალეო — კოპერი | 2,0 | 3,4 | 3,0 |
| გენგამი — ბრნო | 1,53 | 3,6 | 5,0 |
| მიცა — ვერდერი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| პერუჯა — ალიანსი | 1,33 | 4,0 | 8,0 |
| რასინგი — ლიბერეცი | 1,83 | 3,4 | 3,5 |
| ვილიარეალი — ბრეშა | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**გერმანიის ლიგის თასი**
**21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — დორტმუნდი | 2,8 | 3,2 | 2,2 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ**

## interwetten.com
## ინტერვეტენი (ავსტრია)

**შვეიცარია. II ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აარაუ — გრასჰოპერი | 3,6 | 3,1 | 1,85 |
| ქსამაქსი — სტ. გალენი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ციურიხი — სერვეტი | 1,8 | 3,1 | 3,8 |

**22 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იანგ ბოისი — ბაზელი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| ვილი — თუნი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

**რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| რუბინი — სატურნი | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| ზენიტი — კრილია | 1,75 | 2,9 | 3,8 |
| ტორპედო — ცსკა | 3,1 | 3,0 | 1,9 |
| როტორი — ჩერნომორეცი | 1,9 | 2,9 | 3,2 |
| შინიკი — მეტალურგი | 1,35 | 3,6 | 6,5 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — როსტოვი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 2,3 | 3,0 | 2,4 |

**შვედეთი. XIV ტური**
**21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი — ჰამარბი | 2,2 | 3,1 | 2,5 |
| მალმიო — ელფსბორგი | 1,4 | 3,6 | 5,5 |

**შვედეთი. XV ტური**
**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იოსტერი — ენკიოპინგი | 2,2 | 3,1 | 2,5 |

**ნორვეგია. XIII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მოლდე — სოგნდალი | 2,0 | 3,1 | 2,8 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი — ოდ გრელანდი | 2,1 | 3,1 | 2,7 |
| ბრინი — ალესუნდი | 1,65 | 3,2 | 3,9 |
| ლილესტრიომი — ლინი | 2,2 | 3,1 | 2,5 |
| სტაბეკი — ვიკინგი | 2,0 | 3,0 | 2,9 |
| ტრომსიო — რუსენბორგი | 4,8 | 3,6 | 1,45 |

**21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლერენგა — ბრანი | 1,65 | 3,2 | 3,9 |

**ფინეთი. XIII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯაზი — ჰიკ | 4,4 | 3,5 | 1,7 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კტპ — ინტერი | 2,5 | 3,1 | 2,2 |
| ლაჰტი — მიუპა | 3,2 | 3,1 | 1,85 |

**ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — პაშინგი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| დაჩია — შალკე | 4,4 | 3,5 | 1,6 |
| სნოტი — ვოლფსბურგი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| ნანტი — ვილი | 1,3 | 4,2 | 8,0 |
| ჰერენვენი — ლიერსი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| ეგალეო — კოპერი | 2,0 | 3,3 | 3,0 |
| ნიცა — ვერდერი | 2,2 | 3,2 | 2,7 |
| გენგამი — ბრნო | 1,5 | 3,8 | 4,8 |
| პერუჯა — ალიანსი | 1,35 | 3,8 | 6,2 |
| რასინგი — ლიბერეცი | 1,85 | 3,3 | 3,4 |
| ვილიარეალი — ბრეშა | 1,75 | 3,3 | 3,8 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტამპერე — ციბალია | 2,2 | 3,2 | 2,7 |

**ამხანაგური მატჩები**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუსტენაუ — ლევერკუზენი | 3,8 | 3,4 | 1,6 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანოვერი — რომა | 2,6 | 3,2 | 2,1 |

## EUROBET
## ევრობეთი (დიდი ბრიტანეთი)

**შვეიცარია. II ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აარაუ — გრასჰოპერი | 3,75 | 3,3 | 1,85 |
| ქსამაქსი — სტ. გალენი | 1,7 | 3,4 | 4,35 |
| ციურიხი — სერვეტი | 1,85 | 3,3 | 3,75 |

**რუსეთი. XVII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ზენიტი — კრილია | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| ტორპედო — ცსკა | 4,5 | 3,4 | 1,65 |
| ურალანი — სპარტაკ-ალანია | 1,65 | 3,3 | 4,75 |
| რუბინი — სატურნი | 2,3 | 3,0 | 2,8 |
| როტორი — ჩერნომორეცი | 1,75 | 3,2 | 4,2 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — როსტოვი | 1,6 | 3,25 | 5,25 |
| დინამო — ლოკომოტივი | 2,9 | 3,0 | 2,25 |

**შვედეთი. XIV ტური**
**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იოსტერი — ენკიოპინგი | 2,3 | 3,3 | 2,75 |

**შვედეთი. XV ტური**
**21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი — ჰამარბი | 2,25 | 3,3 | 2,8 |
| მალმიო — ელფსბორგი | 1,4 | 4,0 | 7,0 |

**ნორვეგია. XIII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მოლდე — სოგნდალი | 2,0 | 3,6 | 3,1 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი | 2,15 | 3,6 | 2,75 |
| ბრინი — ალესუნდი | 1,65 | 3,6 | 4,5 |
| ლილესტრიომი — ლინი | 2,2 | 3,4 | 2,8 |
| სტაბეკი — ვიკინგი | 2,1 | 3,5 | 2,9 |
| ტრომსიო — რუსენბორგი | 5,5 | 4,25 | 1,45 |

**21 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლერენგა — ბრანი | 1,65 | 3,6 | 4,5 |

**ფინეთი. XIII ტური**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯაზი — ჰიკ | 4,5 | 3,6 | 1,65 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაკა — ჰაამეენლინა | 1,35 | 4,5 | 7,0 |
| კტპ — ინტერი | 2,8 | 3,3 | 2,25 |
| ლაჰტი — მიუპა | 3,75 | 3,4 | 1,85 |

**ინტერტოტოს თასი**
**III ეტაპი. I მატჩები**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — პაშინგი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| დაჩია — შალკე | 4,0 | 3,3 | 1,75 |
| სინოტი — ვოლფსბურგი | 2,45 | 3,2 | 2,5 |
| ნანტი — ვილი | 1,4 | 3,75 | 7,0 |
| ჰერენვენი — ლიერსი | 1,8 | 3,3 | 3,8 |
| ეგალეო — კოპერი | 1,95 | 3,2 | 3,3 |
| ნიცა — ვერდერი | 2,2 | 3,1 | 2,9 |
| გენგამი — ბრნო | 1,55 | 3,5 | 5,2 |
| პერუჯა — ალიანსი | 1,35 | 3,85 | 8,0 |
| რასინგი — ლიბერეცი | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| ვილიარეალი — ბრეშა | 1,75 | 3,1 | 4,35 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტამპერე — ციბალია | 2,25 | 3,2 | 2,75 |

**ამხანაგური მატჩები**
**19 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — სლავია | 2,7 | 3,2 | 2,25 |
| ბორდო — ბრიუგე | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| ოსერი — პანათინაიკოსი | 1,95 | 3,1 | 3,45 |

**20 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანოვერი — რომა | 2,5 | 3,1 | 2,5 |

# ნერვების თამაში დაიწყო

## ოპტიმისტი სტეფანია მაიამელებს სანაძლეოს სთავაზობს

*სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ ნბა-ში მრავალი კონტრაქტი გაფორმდა, ქართველი თავისუფალი აგენტი ვლადიმერ სტეფანია კი ჯერაც უკონტრაქტოდაა და, როგორც შექმნილი სიტუაცია გვკარნახობს, შესაძლოა, კიდევ დიდხანს მოუწიოს ამ სტატუსით ყოფნამ. ეს იმიტომ, რომ კარგი სეზონის შემდეგ სტეფანია იაფფასიან კალათბურთელად აღარ მიიჩნევს საკუთარ თავს და ძველი კლუბი „მაიამი", რომელიც ძველ ჯა-*

— ვოვა, ორი დღეა, ნბა-ში სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა, შენც შეგეხმიანებოდნენ...

— ორმა კლუბმა უკვე ჩამომიგდო სიტყვა კონტრაქტზე, მაგრამ არ დავთანხმდი, ჩემთვის მიუღებელ პირობებს მთავაზობდნენ.

— **რომელი კლუბები იყვნენ და კონკრეტულად რომელი პირობა იყო შენთვის მიუღებელი?**

— ისევ „მაიამი" მთავაზობდა, მაგრამ კვლავ ერთწლიანს და უარი ვთქვი. არ მინდა მოკლევადიანი ხელშეკრულების გაფორმება, ცოტა ხანგრძლივი და უფრო მომგებიანი კონტრაქტი მსურს. თუმც მაიამელთათვის უარის თქმის მთავარი მიზეზი მცირე ხელფასიც იყო. მართალია, ამჯერად ოდნავ უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ გაცილებით მეტს ვიმსახურებ.

— **თუ იმსახურებ, რატომ არ გაძლევენ?**

— ფიქრობენ, შარშანდელივით მომატყუებენ, შაშინ ხომ ვიჩქარე, უკონტრაქტოდ არ დავრჩე-ქეთქი და მხოლოდ 1,3 მილიონს დავთანხმდი. შარშან მიზეზიც მქონდა, ტრავმა შაწუხებდა და თან არც ისე ძლიერი მოთამაშის რეპუტაცია მქონდა, ახლა კი რას ვაგებ, ჯანმრთელიც ვარ და ნორმალურ დონეზე ჩატარებული სეზონი მიმაგრებს ხურგს. არ მომცემენ სასურველ ხელფასს *მაგირზე ოდნავ მეტს სთავაზობდა, უარით გაისტუმრა.*

*სტეფანიამ ყური არ ათხოვა აზა ფაჩულიას აყვანის მსურველ „ორლანდოსაც" და ახლა იცდის, ამბობს, ნერვების თამაში დაიწყოო, მრავალი ეცდება იაფად ჩამიგდოს ხელში, მაგრამ თუ მოთმინება მეყო, სასურველ კონტრაქტსაც გავახერხებო. მოკლედ, მოვუსმინოთ სტეფანიას, რომელსაც გუშინწინ მაიამიში დავუკავშირდით...*

დღეს? დავიცდი, სეზონის დაწყებამდე 3 თვეა.

— **ისე ლაპარაკობ, თითქოს მაიამელები აუცილებლად მეტ თანხას შემოგთავაზებენ...**

— ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ მათ ძალიან უჭირთ ცენტრის პოზიციაზე, დღეს კი ნბა-ში ხეირიანი ცენტრების დიდი დეფიციტია, ოლოვოკანდიმ, ნესტეროვიჩმა და კიდევ ზოგიერთმა კონტრაქტები უკვე გააფორმეს. ალონზო მურნინგიც წავიდა „მაიამიდან" და ვინმე ხომ უნდა აიყვანონ? ჩემი შესაძლებლობები კი კარგად იციან, მაგრამ ჰგონიათ, ისევ იაფად ჩამიგდებენ ხელში. დარწმუნებული ვარ, „მაიამი" ჩემზე უკეთეს ცენტრს ვერ იშოვის იმ ფასად, რაც ორიოდ დღის წინ შემომთავაზა. თუ ეს მოახერხა, ჩემი ჯიბიდან ვაჩუქებ ერთ იმდენს.

— **კლიპერსელი ელტონ ბრენდის „მაიამიში" გადასვლას ბევრიც არაფერი უკლია. მას დიდ ფულს სთავაზობენ, რაც ალბათ შენ ხელს შეგიშლის...**

— ბრენდი თავდამსხმელია, მე ცენტრი. ის მე კონკურენციას ვერ გამიწევს მოედანზე. არა მგონია, მაიამელებმა მთელი ფული ბრენდის მისცენ და სალაროში ცენტისთვის აღარაფერი დაიტოვონ.

— **უფრო შედეგიანად რომ ითამაშო, რის გამოსწორებას საჭიროებ?**

— ალბათ სროლის, მაგრამ მე უფრო სათამაშო დროს ვინატრებდი. პატ რაილის ბოლო სეზონში 5-10 წუთით მეტი რომ ვეთამაშებინე, მოხსნა-ქულების საშუალო მაჩვენებელი ორციფრიანი მექნებოდა. აი, მეტი ხელფასი რომ მექნება, მერე იძულებული იქნება, მათამაშოს. ასე რომ, უფრო ძვირფასი კონტრაქტი მხოლოდ ჩემი ოჯახის კეთილდღეობისთვის კი არ მჭირდება, საკუთარი ძალის დასამტკიცებლადაც.



ვლადიმერ სტეფანიას „მაიამიში" ელტონ ბრენდი ჩაუვიდა

— **ვთქვათ, „მაიამიმ" არ მოგცა სამყოფი, რას იზამ?**

— იმ პირობებით, მაიმელებმა რომ შემომთავაზეს, ალბათ ნებისმიერი კლუბი ამიყვანს. ვუთხარი კიდეც „მაიამის" ხელმძღვანელებს, რატომ უნდა გავჩერდე თქვენს სუსტ გუნდში, თუ საკმარისი ხელფასი არ მექნება, მაგ პირობებით ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბში გადავალ და პლეი ოფს მაინც ვითამაშებ-მეთქი.

— **კიდევ რომელ გუნდს სურდა შენი აყვანა?**

— „ორლანდოს" და ისინიც ცოტას იხდიდნენ. მე რომ უარი ვუთხარი, ორლანდოელებმა მათ შარშანდელ ცენტრს ენდრიუ დეკლერკს გაუფორმეს ორწლიანი და ოთხმილიონიანი კონტრაქტი. არ ვტრაბახობ, მაგრამ დეკლერკს ცალი ხელით ვაჯობებ. ის თუ წელიწადში 2 მილიონის ღირსია, მაშინ მე მინიმუმ 8 მილიონს ვიმსახურებ.

— **ორლანდოელებს ზაზა ფაჩულიას დატოვებაც უნდათ. არ გინდოდა მასთან თამაში?**

— ზაზა ჯერ არ ჩარიცხულა „ორლანდოში".

— **ახლა სად ხარ და რას აკეთებ?**

— კვლავ „მაიამიში" ვარ და ფორმას ვინარჩუნებ. ჯერ ორი დღეა, სატრანსფერო სეზონი გაიხსნა და ყველაფერი წინაა. არსად მეჩქარება, ვიქნები ჩემთვის და დაველოდები შემოთავაზებებს. არ მინდა, შარშანდელივით ვიჩქარო, დავიცდი და მჯერა, იმაზე ბევრად უკეთეს კონტრაქტს ვიშოვნი, აქამდე რომ მქონია. უგუნდოდ ნამდვილად არ დავრჩები.

**ირაკლი პერტაია**

# სტეფანია არ სვამს

## განსაკუთრებით ჭერ იტანს ბრენდის

*სტეფანიას ინტერვიუდან ჩანს, რომ მას გულზე დიდად არ ეხატება „მაიამი". საინტერესოა, რას ფიქრობენ საკუთრივ მაიამელები სტეფანიაზე. ამის გაგებაში დაგვეხმარება ფლორიდულ გაზეთ „სან სენტინელში" გამოქვეყნებული წერილი სათაურით „თუ ელტონ ბრენდი „მაიამიში" მოვა, სტეფანიას ალბათ წასვლა მოუწევს"*

**ჰარვი ფიალკოვი**
**ORLANDO SENTINEL**

„მაიამის" ყოფილი ცენტრი ალონზო მურნინგი თავის ახალ გუნდ „ნიუ ჯერსიში" ცდილობს თავის გამოჩენას, მეორე ყოფილი ცენტრი, თუმც ჯერაც თავისუფალი აგენტი ვლადიმერ სტეფანია ელტონ ბრენდის „ჰითში" ტრანსფერს უთვალთვალებს.

თუ „მაიამიში" გადასასვლელად გამზადებული ბრენდისთვის აქამდე დასახელებული თანხის, 82,2 მილიონი დოლარის გადახდა გადაწყვიტეს, ფლორიდელები უარს იტყვიან მათ გუნდში შარშან მოთამაშე, დღესდღეობით კი თავისუფალ აგენტად მყოფ კალათბურთელებზე და მათ შორის ვლადიმერ სტეფანიაზეც.

27 წლის სტეფანია შარშანდელ სეზონში მეორე იყო ლიგაში მეტოქის ფარზე მომზსნელებს შორის. საერთო ჯამში შვიდ მოხსნას აგროვებდა საშუალოდ, თითოეულ მატჩში 5,6 ქულა კი საუკეთესო შედეგი იყო მის კარიერაში. ახლა კი, ალონზო მურნინგი რომ წავიდა, სტეფანია სავარაუდოდ მეტ თანხას მოითხოვს. მას ხომ ბოლო სეზონში ოდენ 1,35 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ბრენდის ტრანსფერი 82,2 მილიონით თუ განისაზღვრა, სტეფანიას მისი გამოცდილების ვეტერანთათვის, ხუთწლიანი სტაჟის მქონეთათვის დაწესებულ მინიმუმს, 751 ათას დოლარს შესთავაზებენ მაიამელები.

მიუხედავად ყველაფრისა, სტეფანიას მენეჯერი მარკ ფლეიშერი ამბობს: „ბრენდის კონტრაქტი ჩემს კლიენტს ხელს არ უშლის. მხოლოდ მაშინ შეგვიშლიდა, თუ თანხის ოდენობა უფრო მეტი იქნებოდა. კლიპერსელი „მაიამიში" რომც გადმოვიდეს, სტეფანიას „ჰიტში" დარჩენა გამოსარიცხი მაინც არ არის."

ვარდ დეფლეგელეგ ბოლო

# ზღვა და სალამური

## მამაცაშვილმა კახიაშვილი გააოცა

*გუშინწინ ეროვნულ ნაკრებში პირველად ივარჯიშა 16 წლის ოლიმპიაკოსელმა გიორგი მამაცაშვილმა. „მამაცა" სამი დღის წინ ღამით ჩამოფრინდა ათენიდან და მეორე დღეს, დილის 10 საათისთვის უკვე „დინამოს" ბაზაზე იყო დარჭობილი. მამაცაშვილს რომ საბერძნეთში ყოფნა ამდენ ხანს გაუგრძელდა, როცა იქ კარგა ხანია, სეზონი დასრულდა, ექიმების და თბილისის რეისზე დაგვიანების ბრალი ყოფილა...*

ტრევიზოში მამაცაშვილი ცქიტიშვილმა წაავარჯიშა

— „ოლიმპიაკოსის" ექიმებმა მანამდე არ გამომიშვეს, სანამ ბოლომდე არ მომიშუშეს ის ტრავმა, ტრევიზოულ კემპზე რომ მივიღე. იტალიაში საზარდული დამეჭიმა და ბერძენმა ექიმებმა ერთი ამბავი ატეხეს, არსად არ წახვალ, სანამ სრულად არ გამოჯანმრთელდები, ეგ ისეთი რამაა, შესაძლოა, გართულდეს და კარგა ხანს მოგიწიოს უქმობამო. ჰოდა, ვიყავი ათენში, დავდიოდი ექიმებთან და როცა გამოვჯანმრთელდი და წამოსვლა დავაპირე...

— **რამემ შეგიშალა ხელი?**

— წინა ოთხშაბათს უნდა ჩამოვსულიყავი და ამ ოთხშაბათს ჩამოვედი. „ოლიმპიაკოსის" მენეჯერმა თბილისის რეისის ბილეთი რომ მომიტანა, მითხრა, ექვს საათზე მიფრინავო. რაკი 6 საათზეო, აღარ დავუგდე ყური, მეგონა, საღამოს მიფრინავ-მეთქი, არადა, დილის ექვსი საათი ათქვამს. ჰოდა, აეროპორტში რომ მივედი, თქვენი თვითმფრინავი 12 საათის წინ გაფრინდაო, მითხრეს. ათენი-თბილისის რეისი მხოლოდ ოთხშაბათობით დაფრინავს და ერთი კვირა ვიყურყუტე ათენში. მთელი დღეები პლაჟზე ვიყავი. ამიტომაც ვარ ასეთი დამწვარი, სახის კანი მძვრება.

— **ერთი კვირა სულ პლაჟზე დადიოდი?**

— არა, სწორედ იმ დროს დაემთხვა ათენის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 40 ქვეყნის ანსამბლი და მათ შორის ჩვენებური „რუსთავიც" მონაწილეობდა. სხვათა შორის, „რუსთავში" ბიძაჩემი უკრავს სალამურზე და ამაზე კარგ სანახაობას სად ვნახავდი? ფესტივალზე გავიცანი ცნობილი ძალოსანი კახი კახიაშვილი, რომელიც რუსთავული ანსამბლის საყურებლად მოვიდა. ძალიან გაუხარდა, ასეთი ახალგაზრდა და უკვე ოლიმპიაკოსელიო... მისამართი მომცა, თუ რამე გაგიჭირდეს, დამირეკე აუცილებლადო.

— **„ოლიმპიაკოსში" როგორ გაქვს საქმეები?**

— ძალიან კარგად, ძირითად გუნდთან ვვარჯიშობ. ეგაა, ოფიციალურ მატჩებში არ მითამაშია.

— **მომავალი სეზონიდან თუ ითამაშებ?**

— როგორც მწვრთნელი ბოგდან სუბოტიჩი ჩემს მენეჯერს ეუბნება, მომავალი სეზონიდან „ოლიმპიაკოსის" ძირითად 12 კაცში ვიქნები. ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— **ბერძნები როდისთვის გელიან?**

— 4 აგვისტოს იკრიბებიან ოლიმპიაკოსელები. მე თავიდანვე ვერ ჩავალ, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი მაქვს სლოვაკეთში სათამაშო. „ოლიმპიაკოსი" შეკრებაზე სლოვენიაში მიდის, სუბოტიჩი ხომ სლოვენიელთა ნაკრებსაც თავკაცობს და გადაწყვიტა, კლუბიც და ნაკრებიც ერთად მოამზადოს. მე სლოვაკეთიდან გადავალ სლოვენიაში და „ოლიმპიაკოსს" შევუერთდები.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს თასი. ფინალი

**ლოკომოტივი — დათვები**

**20 ივლისი. თბილისი «ლოკომოტივი» 19.30 საათი**

ვაფანი ჯიბლაძის ფოტო

შარშან თასი „დათვებისა“ იყო

# გირჩევთ: ცოცხალი რაგბი ცოცხლად

## ლოკომოტივმა ახალ სახლში ძველი მეტოქე მიიყვანა

*ქართული რაგბი ძირძველ კერას, მწვანეში ჩაფლული კუს ტბის მისადგომებს უბრუნდება. „ლოკომოტივის“ სტადიონს ვგულისხმობთ, სადაც მორაგბეთა თაობები დაზრდილა, ხვალ კი საქართველოს თასის ფინალია*

სრკ

თასის გადამწყვეტ ჯახში ერთმანეთს ძველი მეტოქეები, დღევანდელი ქართული საკლუბო რაგბის ორი რჩეული გუნდი თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დათვები“ დაუპირისპირდებიან.

ხვალ, საქართველოს მეოთხე თასის ფინალში ეს გუნდები უკვე მესამედ დაეჯახებიან ერთმანეთს. პირველად. 2000 წელს თასის პირველ ფინალში „ლოკომოტივმა“ იძალა და იმ წელს დუბლიც გაახერხა, ჩემპიონიც გახდა. მომდევნო წელსაც „ლოკომოტივი“ და „დათვები“ გავიდნენ ფინალში, ოღონდ, იმ მატჩს ჩატარება არ ეწერა. ფინალი ქუთაისში დაინიშნა, მაგრამ თბილისელები არ გამოცხადნენ. რკინიგზელების თქმით, მათ საქართველოს რაგბის კავშირს მატჩის გადადება სთხოვეს, რაზეც კავშირი ყაბულს იყო, თუმც მეტოქე ზღვისპირელებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობდნენ. ერთი სიტყვით, გაუგებრობის სამკუთხედი შეიკრა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ქუთაისში ჩასულ „დათვებს“ მეტოქის გამოუცხადებლობის გამო თასი უბრძოლველად გადაეცათ. ამან კი კიდევ უფრო დაძაბა ამ გუნდებს შორის ურთიერთობა, რომელსაც „ჭკბილი“ არც მანამდე ეთქმოდა.

„დათვებმა“ შარშან დამსახურებულად მოიპოვეს თასი. ფინალში მათ „ლელო“ დაამარცხეს. წლეულს კი ისევ „ლოკომოტივთან“ მოუწევთ საქმის დაჭერა, რომელიც გვარიანად მოძლიერდა და თანაც შინ თამაშობს. ოღონდ აქ ერთი დაზუსტებაა საჭირო, „ლოკომოტივი“ ერთ დროს მშობლიურ სარბიელს ახლახან დაუბრუნდა, მანამდე კი სტადიონის კარი მხოლოდ ნაკრებისთვის იყო ღია, ისიც ბოლო ორი-სამი წელი.

ორივე ფინალისტს გამარჯვების მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი აქვს. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „დათვებმა“ შეძლეს შარშანდელი შემადგენლობის შენარჩუნება და რამდენიმე ძლიერი მორაგბეც დაიმატეს. „ლოკომოტივს“ კი საფრანგეთიდან დაუბრუნდა მე-10 ნომერი და გუნდის შეტევათა მემიზნე ბობა კვინიხიძე, რომელიც საფრანგეთიდანვე დროებით მობრუნებულ მორკინალ დავით ხინჩაგაშვილთან ერთად ძალიან დიდი ძალაა.

ერთი სიტყვით, ხვალ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი და ვისაც ორი საუკეთესო ქართული კლუბის ჯახის ცოცხლად ხილვა სურს, ჯიბეზე ხელის გაკვრა არ მოუწევს. მატჩი საღამოს რვის ნახევარზე დაიწყება და მასზე დასწრება უფასოა.

**ბაჩო სვანიძე**

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

„ლოკომოტივის“ და „დათვების“ ჯახებს მუშტი-კრივიც ახსოვს

*შორეულ ისლანდიაში გადახვეწილ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ყოფილ მეკარეს როლანდ ერაძეს გულით უნდოდა, საზაფხულო შვებულება თბილისში გაეტარებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. თუმცა, ჩვენებური პორტუგალიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არც ისლანდიაშია მოწყენით. როგორც შევიტყვეთ, ერაძეს, რომელსაც იქაური მოქალაქეობა აქვს მიღებული, რეიკიავიკში დიდი სტუმრიანობა აქვს*

# საქართველოდან გაპრეფილები ყინულოვან სამოთხეში

## ინტერვიუ თემაზე: რავა ხარ?

*როლანდ ერაძეს რეიკიავიკში ჯერ თბილისიდან შვილიშვილის ნახვას მონატრებული სიდედრ-სიმამრი ესტუმრა, მოგვიანებით კი ქვისლმა და ულამაზესმა ცოლისდამაც ჩაკითხეს. „სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის, მისი ცოლისდა, თბილისში დაბადებული და სილამაზით გამორჩეული ფრენბურთელი ვიქტორია რავა საფრანგეთის „კანში“ თამაშობს.*

*ვიკას — ასე ეძახიან მას შინაურები და არა მარტო შინაურები — კლუბმა წელს ყველა ტიტული მოიგო, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან ერთად, იგი ამ ტურნირის ყველაზე ძვირფას ფრენბურთელადაც დაასახელეს. ჰოდა, ასეთი იღბლიანი სეზონის შემდეგ, რა გასაკვირია, ვიკამ და ამირანმა დასასვენებლად ეგზოტიკური ისლანდია რომ აირჩიეს. ამირანიც ფრენბურთელია, ისიც საფრანგეთის ერთ-ერთ კლუბში თამაშობს, ოღონდ ეგაა, რომ ვიკა უკვე საფრანგეთის მოქალაქეა, ამირანი კი ალბათ მალე გადაეწერება ნაძალადევიდან კონფესტივალით განთქმულ ქალაქში. მოკლედ, საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, აქვე დავძენთ, რომ მომქანცველი სეზონის შემდეგ ამ ულამაზესმა წყვილმა ხმელთაშუა ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირებს გეიზერებში ბანობა არჩია.*

*ერთად შეკრებილ ოჯახს ისლანდიაში ტელეფონით შეეხმიანეთ, ყურმილი როლანდ ერაძემ აიღო. საუბარი კი თბილისში ჩამოუსვლელობის მიზეზებით დავიწყეთ:*

— საქართველოში შვებულებაზე ჩამოსვლა ძალიან მინდოდა. წინა ინტერვიუშიც გითხარით, ზაფხულში აუცილებლად ჩამოვალ-მეთქი. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ჩემი საქმე ასეა ზუსტად. პორტუგალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ზურგი უკვე მტკიოდა, ჰოდა, ეს ტრავმა გამიმიზეზდა. ექიმებმა კატეგორიულად ამიკრძალეს ამხელა გზაზე მგზავრობა. ჯერ ისევ ვმკურნალობ, ახლა უკეთესად ვგრძნობ თავს.

**— ეს ტრავმა ხომ არ გახდა შენი ტრანსფერის ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი? თითქოს საფრანგეთის ან ესპანეთის კლუბები გიწვევდნენ სათამაშოდ...**

— ამ ქვეყნებიდან ჩემით მართლაც იყო დაინტერესებული რამდენიმე კლუბი. ტკივილებმა გამაწვალა და ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა, ისლანდიაში რომ დავრჩი. გამოგიტყდებით და, არც კლუბს უნდოდა ჩემი გაშვება ხელფასიც მომიმატეს და უკეთესი პირობებიც შემომთავაზეს.

**— ეტყობა, ოლიმპიურ თამაშებამდე შენი გაშვება ხელს არ აძლევთ...**

— რომც გადავსულიყავი სხვა ქვეყნის კლუბში, არა მგონია, ამას ჩემთვის ხელი შეეშალა. მით უმეტეს, რომ ოლიმპიური საგზური უკვე მოვიპოვეთ. ოლიმპიადაზე მონაწილეობა ყველა სპორტსმენის ოცნებაა, ეგაა, რომ ალბათ არც მომავალ ზაფხულს დამრჩება დრო საქართველოში ჩამოსასვლელად.

**— შენი მწვრთნელი, გეერ სვენსონი შენი პირადი მენეჯერიცაა, ისიც წინააღმდეგი იყო შენი წასვლის?**

— არა, პირიქით. ის დღესაც აგრძელებს ჩემთვის უკეთესი კლუბის ძიებას. სავარაუდოდ, იანვარში ევროპის ჩემპიონატი რომ ჩამთავრდება, ალბათ უკვე გადავალ სხვა კლუბში. მოკლედ, მომავალ ზაფხულამდე გადავალ სადმე.

**— შენმა კლუბმა როგორ დაამთავრა სეზონი?**

— ისლანდიაში მეორე ადგილზე გავედით. ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე დაიმტვრა და ამანაც შეგვაფერხა. თასის ფინალიც ამ მიზეზის გამო ვერ მოვიგეთ.

**— შარშან ევროთასებზე შენს კლუბს არ უასპარეზია. წლეულს რას აპირებთ?**

— ჯერ არ ვიცი. კლუბის ხელმძღვანელები ამ დღეებში შეიკრიბებიან და ყველაფერზე მოილაპარაკებენ.

**— როგორც გავიგეთ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი, ლევან გელაშვილი იყო ჩამოსული რეიკიავიკში სასინჯ თამაშებზე...**

— ლევანი იყო ჩვენთან ჩამოსული ორი კვირით. ოღონდ, ეს იყო შარშან. როგორც ვიცი, აქაურმა კლუბმა ვერ შეძლო ლევანისთვის მაღალი ხელფასიც დაეჩიშნა და თანაც იმავდროულად სატრანსფერო თანხაც გადაეხადა საქართველოს ხელბურთის ფედერაციისთვის.

— მოდი, ახლა შენს სტუმრებზე ვისაუბროთ.

— უკვე მესამე კვირაა, რაც ვიკა და ამირანი ჩემთან არიან. შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ სიცხეებს გამოასწრეს. ჩვენთან ისე არ ცხელა.

**— გეიზერებშიც იბანავეს?**

— ისლანდია პატარა ქვეყანაა. მის დათვალიერებას დიდი დრო არ უნდა. აქ ჩამოხვიდე და გეეზერები არ მოინახულო, უბრალოდ, სირცხვილია. სამ დღეში აპირებენ კანში დაბრუნებას.

**— ალბათ პლაჟის ფრენბურთზე მიეჩქარებათ...**

— როგორც ვიცი, აქ ჩამოსვლამდეც მოასწრეს კუნძულებზე წათამაშება. სექტემბრის ბოლომდე შვებულება აქვთ, ალბათ კიდევაც მოასწრებენ თამაშს.

**— ვიკას წარმატების ამბავი კარგად ვიცით, ამირანის საქმეები როგორღა მიდის?**

— ვიკას „კანთან“ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. მან საფრანგეთის მოქალაქეობა უკვე მიიღო და დიდი სურვილიც აქვს, რომ ნაკრებში ითამაშოს, ამირანმა კი კლუბი შეიცვალა. მას კუნძულ კორსიკაზე მოუწევს გადაბარგება, მის ახალ კლუბს „ავჯაქსიო“ ჰქვია. კანის გუნდი კი იმიტომ დატოვა, რომ იქ უკეთესი პირობები შესთავაზეს. საფრანგეთის მოქალაქეობასაც ისიც ალბათ მალე მიიღებს.

**— მოკლედ, ახლა ისლანდიაზე ხართ და არაა გამორიცხული, მომავალ ზაფხულს ყველამ კორსიკაზე მოიყაროთ თავი...**

— წინასწარ რა გითხრათ. წინაა ევროპის ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშები. თუ ევროთასებზე ვითამაშეთ, საკმაოდ დაძაბული სეზონი მელის. მთავარია, ტრავმა დროულად მოვიშუშო, და უკეთეს კლუბში გადავიდე სათამაშოდ.

**ზურაბ ტაბატაძე**

ვიკა და ამირანი ერთ დროს საქართველოსთვის თამაშობდნენ




დევიდ კულჰარდმა და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა პრესტიჟული, 150-რბოლიანი ზღვარი გადალახეს

# რიკარდოს რეკორდს რუბენსი თუ მოხსნის

*ფორმულა 1-ის უამრავ სტატისტიკურ მონაცემთა შორის რამდენიმე გამორჩეულად პრესტიჟულია. უმთავრესი, ცხადია, ჩემპიონის ტიტულია, შემდეგაა მოგებული ეტაპებისა და პოულების რაოდენობა, დაგროვებული ქულები. ამათ მნიშვნელობით მცირედ ჩამორჩება ჩატარებული რბოლები.*

*მ[illegible]თალია, ეს მაჩვენებელი პირდაპირ კავშირში არ არის მრბო[illegible] ნიჭიერებასთან, მაგრამ, ვთქვათ, 150 ეტაპი პილოტის სტა[illegible]ლურობაზე ხომ ნამდვილად მეტყველებს. ამ ზღვრის დასაძლევად სულ ცოტა, ათი წელი ბოლიდის საჭესთან ჯდომაა აუცილებელი, რაც ფორმულის 54-წლიან ისტორიაში სტარტზე გასულ 600 მძღოლთაგან მხოლოდ 21-მა შეძლო.*

ეს საპატიო ზღუდე მიმდინარე სეზონში ორმა ვეტერანმა, შოტლანდიელმა დევიდ კულჰარდმა და გერმანელმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა გადალახა. ორივემ საფორმულო საქმიანობა 1994 წელს დაიწყო. 26 წლის გერმანელი პირველივე ეტაპიდან გამოჩნდა „ზაუბერის“ გუნდში, მასზე ოთხი წლით უმცროსი ბრიტანელის დებიუტი კი ტრაგიკულმა შემთხვევამ დააჩქარა. იმ წლის პირველ მაისს იტალიაში, „იმოლას“ ტრასაზე რბოლისას დაიღუპა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აირტონ სენა. დანაკლისი ფრენკ უილიამსის გუნდისთვის, რა თქმა უნდა, აუნაზღაურებელი იყო, მაგრამ „ჯადოქარი“ ბრაზილიელის ადგილი ვინმეს ხომ უნდა დაეკავებინა. სენას ორნომრიანი „უილიამსი“ კულჰარდს ანდეს. შოტლანდიელი ორი წლის შემდეგ „მაკლარენში“ მიიწვიეს, მას აქეთ „ვერცხლისფერების“ ღირსებას იცავს და რვა წლის მანძილზე, ანუ 126 რბოლიდან ერთიც არ გამოუტოვებია. დი-სის (დევიდის ინიციალები) არც ნიჭი აკლია და არც ამბიცია, მაგრამ ტიტულისთვის გაბრძოლება დღემდე ვერ მოუხერხებია. 32 წლის პილოტის საუკეთესო შედეგი შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონობაა, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ ტრიუმფატორ მიხაელ შუმახერს უზარმაზარი, 58-ქულიანი სხვაობით ჩამორჩა.

კულჰარდთან შედარებით, ფრენცენი „მოხეტიალე მრბოლია“ — ათწლიან კარიერაში ექვსჯერ შეიცვალა გუნდი. „ზაუბერის“ შემდეგ იყო „უილიამსი“, „ჯორდანი“, „პროსტი“, „ეროუსი“, ბოლოს ისევ „ზაუბერი“ და, ეტყობა, საფორმულო საქმიანობასაც თავისი შვეიცარიელი მეგობრის, პეტერ ზაუბერის საჯინიბოში დაასრულებს. სადღეისოდ ერთ-ერთი უხნესი მეფორმულე, რომელიც ორი თვის წინ 36-ის შესრულდა, კი ამბობს, დასვენებაზე ჯერ არ ვფიქრობო, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ 200 ეტაპამდე თუ აღწევს. ვფიქრობთ, ვერც კულჰარდი წავა შორს, რადგან ბოლოს და ბოლოს მობეზრდება ჩემპიონობის უშანსოდ ჯახირი.

ყველაზე მეტრბოლიანთა სიაში მოქმედ მძღოლთაგან უმაღლესი მაჩვენებელი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს აქვს, თუმც რიკარდო პატრეზეს ფანტასტიკური რეკორდის დამხობას ვერც ის მოასწრებს. კონტრაქტით, შუმიმ კიდევ სამი სეზონი უნდა ირბოლოს, მერე კი დანამდვილებით გავა პენსიაში და ამდენად, იტალიელის სუპერმიღწევამდე ალბათ 10-15 ეტაპი დააკლდება.

პატრეზემ „სამეფო რბოლებში“ 17 წელი იქროლა, ასე რომ, მისმა მჯობნელმაც სულ ცოტა, ამდენივე ხანი უნდა შეალიოს ამ საქმეს. 1992 წლის ვიცე-ჩემპიონის ათი წლის წინ დამყარებული ფენომენალური რეკორდის გაუმჯობესების რეალური შანსი მხოლოდ რუბენს ბარიკელოს აქვს, რომელიც მე-11 სეზონს ატარებს და პატრეზეს საჯობნელად კიდევ ხუთი წელი დასჭირდება. იქამდე ძალიან შორი კია, მაგრამ რაკი 31 წლის რუბინიოს ჯერ რბოლა არ მობეზრებია...

დაველოდოთ...

**გია ახალაძე**

## ᲐᲗᲬᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲪᲔᲣᲚᲘ

| | მრბოლი | ქვეყანა | რბოლა | მოგება | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რიკარდო პატრეზე | იტალია | 256 | 6 | 281 |
| 2 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 210 | 10 | 385 |
| 3 | ანდრეა დე ჩეზარისი | იტალია | 208 | 0 | 59 |
| 4 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 204 | 23 | 485,5 |
| 5 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | 201 | 1 | 242 |
| 6 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 199 | 51 | 798,5 |
| 7 | მიქელე ალბორეტო | იტალია | 194 | 5 | 186,5 |
| 8 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 189 | 68 | 1009 |
| 9 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 187 | 31 | 482 |
| 10 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 176 | 14 | 289 |
| | ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 176 | 6 | 228 |
| 12 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 174 | 5 | 311 |
| 13 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 171 | 25 | 420,5 |
| 14 | ტიერი ბუტსენი | ბელგია | 163 | 3 | 132 |
| 15 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 162 | 20 | 420 |
| 16 | აირტონ სენა | ბრაზილია | 161 | 41 | 614 |
| | ჯონი ჰერბერტი | დიდი ბრიტანეთი | 161 | 3 | 98 |
| 18 | მარტინ ბრანდლი | დიდი ბრიტანეთი | 158 | 0 | 98 |
| 19 | ჯონ უოტსონი | დიდი ბრიტანეთი | 152 | 5 | 169 |
| 20 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 151 | 13 | 429 |
| | ჰაინც-ჰარ. ფრენცენი | გერმანია | 151 | 3 | 168 |
| ... | | | | | |
| 28 | ოლივიე პანი | საფრანგეთი | 135 | 1 | 63 |
| ... | | | | | |
| 32 | ჟაკ ვილნევი | კანადა | 126 | 11 | 216 |
| ... | | | | | |
| 36 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | 117 | 1 | 92 |
| ... | | | | | |
| 45 | რალფ შუმახერი | გერმანია | 110 | 6 | 230 |
| ... | | | | | |
| 49 | იარნო ტრული | იტალია | 107 | 0 | 51 |
| ... | | | | | |
| 52 | იოს ფერსტაპენი | ჰოლანდია | 101 | 0 | 17 |

# F 1

**XI ᲔᲢᲐ�პᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ**

**ᲡᲘᲚᲕᲔᲠᲡᲢᲝᲣᲜᲘ**

*ᲡᲘᲚᲕᲔᲠᲡᲢᲝᲣᲜᲘ, 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ*



**ᲢᲠᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ---------- 5.141 ᲙᲛ**
**ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ---------- 60 ᲯᲠᲔ — 308.356 ᲙᲛ**

*ᲠᲑᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ 17 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ*

**ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 მონტოია (უილიამსი); 4 ვილნევი (B.A.R.) 5 პანი (B.A.R.); 6 ჰაიდფელდი (ზაუბერი)

**ᲬᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ:** 2002 — ბარიკელო (ფერარი) 1:23.083 (222,8 კმ/სთ)

ბოლო ორ ეტაპზე დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) გამარჯვებამ „უილიამსის“ პილოტები რალფ შუმახერი და ხუან-პაბლო მონტოია ისე შეაგულიანა, რომ ისინი ხვალინდელ რბოლაშიც მოგების მადაზე არიან და „ფერარისთვის“ კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობის ჩამორთმევას აპირებენ. გუნდებს შორის სადღეისოდ სულ რაღაც სამქულიანი სხვაობაა, ასე რომ, უილიამსელ ბიჭებს მიზნის მიღწევის მშვენიერი შანსი აქვთ. ცხადია, თუ მიხაელ შუმახერმა და რუბენს ბარიკელომ დაანებეს.

„სილვერსტოუნის“ ჩქაროსნულ ტრეკზე, სადაც გასწრებისთვის რამდენიმე ხელსაყრელი მონაკვეთია, უპირატესობა ზემძლავრძრავიან ბოლიდების მხარესაა, ასეთებად კი სწორედ „ფერარი“ და „უილიამსი“ ითვლება. თუმც არც „მაკლარენის“ ანგარიშგაუწევლობა იქნება. კიმი რაიკონენი და დევიდ კულჰარდი კვლავაც ნაცადი და სანდო, გარდამავალი „მაკლარენ MP4/17“-ით იქროლებენ, რადგან ახალი მოდელით გაჯირითებას არ ჩქარობენ და ეტყობა, დასკვნით სამ ეტაპზეღა თუ გამოაჩენენ.

ბრძოლის შედეგები ბევრად იქნება დამოკიდებული საბურავებზეც. ეს თემა ამჟამად ფერარელთა მთავარი სატკივარია — მათი „ბრიჯსტოუნის“ ფეხსაცმელი კონკურენტ „მიშლენისაზე“ ცუდად „იჭერს“ გზას. ოღონდ ლაპარაკია მშრალ ამინდზე, სველ ასფალტზე კი „ბრიჯების“ უპირატესობა აშკარაა. ხვალ სინოპტიკოსები ტრადიციულ წვიმას ვარაუდობენ.

გუშინ წინასწარი კვალიფიკაციისას საუკეთესო შედეგი მიხაელ შუმახერმა აჩვენა. შემდეგ იყვნენ მონტოია, რალფი, ალონსო, პანი, ტრული, კულჰარდი...

## ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოლუსი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | 5 | 7 | 56 | 1 | 13 |
| ჯიმ კლარკი | ბრიტანეთი | 5 | 5 | 48 | 5 | 8 |
| ნაიჯელ მენსელი | ბრიტანეთი | 4 | 6 | 53 | 3 | 12 |
| ნიკი ლაუდა | ავსტრია | 3 | 5 | 42 | 2 | 12 |
| ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 3 | 4 | 42 | 3 | 14 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 2 | 5 | 39 | 1 | 10 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | 2 | 3 | 31 | — | 9 |
| ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 2 | 4 | 29 | — | 11 |
| ჯეკი სტიუარტი | ბრიტანეთი | 2 | 3 | 27 | — | 9 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | 2 | 2 | 23 | 1 | 7 |
| ხოსე გონსალესი | არგენტინა | 2 | 2 | 19 | 1 | 4 |
| სტირლინგ მოსი | ბრიტანეთი | 2 | 3 | 18 | 4 | 8 |
| ალბერტო ასკარი | იტალია | 2 | 2 | 16 | 1 | 4 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 1 | 5 | 31 | 2 | 10 |
| ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 1 | 4 | 29 | 1 | 7 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | 1 | 4 | 28 | 1 | 10 |
| ჯოდი შექტერი | ს. აფრიკა | 1 | 3 | 21 | — | 9 |
| კარლოს რუტმანი | არგენტინა | 1 | 3 | 21 | — | 10 |
| ჯონ უოტსონი | ბრიტანეთი | 1 | 3 | 20 | — | 11 |
| ჰეიმს ჰანტი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 15 | 1 | 6 |
| კლეი რეგაცონი | შვეიცარია | 1 | 1 | 15 | 1 | 5 |
| იოხენ რინდტი | ავსტრია | 1 | 1 | 14 | 2 | 6 |
| პიტერ რეუსონი | აშშ | 1 | 2 | 13 | — | 3 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 13 | 3 | 8 |
| ჯონი ჰერბერტი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 13 | — | 9 |
| პიტერ კოლინსი | ბრიტანეთი | 1 | 2 | 12,5 | — | 6 |
| ჯუზეპე ფარინა | იტალია | 1 | 2 | 12 | 2 | 4 |
| ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 1 | 1 | 11 | 1 | 8 |
| ვოლფგანგ ფონ ტრიპსი | გერმანია | 1 | 1 | 10 | — | 3 |
| ჯო სიფერი | შვეიცარია | 1 | 1 | 9 | — | 9 |
| ტონი ბრუქსი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 6 | — | 6 |
| . . . . . | | | | | | |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | — | 2 | 16 | 1 | 10 |
| რალფ შუმახერი | გერმანია | — | 1 | 10 | — | 6 |
| ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | — | 1 | 7 | 1 | 2 |
| ოლივიე პანი | საფრანგეთი | — | — | 5 | — | 8 |
| ჰაინც-ჰარ. ფრენცენი | გერმანია | — | — | 4 | — | 9 |
| ჯენსონ ბატონი | ბრიტანეთი | — | — | 2 | — | 3 |
| კიმი რაიკონენი | ფინეთი | — | — | 2 | — | 2 |
| ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | — | — | 2 | — | 3 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | — | — | 2 | — | 7 |
| იარნო ტრული | იტალია | — | — | 1 | — | 6 |

# ᲛᲔᲙᲐᲠᲛᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕᲗᲡ

## ᲟᲘᲒᲔᲠᲘ ᲑᲐᲠᲘᲡᲐᲓᲔᲑᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲐᲛᲝᲔᲤᲐᲠᲔᲑᲐ

*ᲯᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲟᲘᲒᲔᲠᲡ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲣᲠᲗᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲔᲮᲡᲝᲛᲔᲑᲐᲗ, ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘᲡ ᲐᲧᲚᲐᲧᲣᲓᲐ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲛ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡ ᲐᲣᲠᲘᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ. ᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲛᲣᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲛᲘᲗ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ — ᲢᲐᲜᲘᲗ, ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲤᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲙᲐᲠᲡ ᲤᲐᲠᲐᲕᲓᲐ*

ᲯᲘᲒᲔᲠᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲙᲐᲠᲔᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲪᲘᲚᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲗᲩ. ᲠᲐᲪ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲯᲘᲒᲔᲠᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲔᲮᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲜᲭᲚ–ᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲜᲝᲜᲐ. ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲗᲐ ᲤᲔᲮᲡᲐᲤᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲨᲘ 38 ᲓᲣᲘᲛᲘᲡ (95 ᲡᲛ) ᲐᲦᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲑᲐ. ᲐᲓᲠᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘ�გᲐᲜᲔ ᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ (12 ᲓᲣᲘᲛᲘ ᲐᲜᲣ 30 ᲡᲛ).

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲝ. „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲢᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲝᲛᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲩᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲛᲣᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲓᲘᲓᲔᲪ ᲔᲯᲕᲡ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲔᲕᲓᲔᲡ“ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲙᲝᲚᲘᲜ ᲙᲔᲛᲞᲑᲔᲚᲛᲐ. ᲚᲘ�გᲐᲛ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲧᲝ, ᲙᲠᲘᲡ ᲙᲘᲜᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘ 25 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲔᲑᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲡ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲗᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘᲡ ᲤᲔᲮᲡᲐᲤᲠᲔᲑᲘ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ.

�გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲚᲘ�გᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲘᲦᲝ. ᲐᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘ 6 ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲔᲚᲗᲐᲜ (ᲐᲓᲠᲔ 5 ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ) ᲓᲐ ᲝᲗᲮ-ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ 15 �გᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲯᲐᲛᲨᲘ 18 ᲝᲠᲔᲚ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ.

ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ, 1969-70 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲛᲣᲥ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘᲪ ᲘᲡᲐᲠᲔᲖᲔᲑᲡ (ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲗᲘᲗᲝᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ).

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ �გᲐᲜᲠᲘᲒᲘ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ. ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ (ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ, ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ, ᲩᲘ�კᲐ�გᲝ — ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ), ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ 4 Ა�პᲠᲘᲚᲘ.

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ 22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲜᲭᲚ-ᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲚᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲨ, 50 000-ᲘᲐᲜ „ᲥᲝᲛᲝᲜᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲢᲔᲓᲘᲣᲛᲖᲔ“ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲚᲘ�გᲘᲡ 86-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ 25-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ �გᲐᲛᲝᲣ�გᲝᲜᲔᲡ — „ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ“.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ �გᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ. ᲛᲔᲢᲔ-ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲬ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲥᲡᲢᲐᲛᲞᲔᲚᲛᲐ ᲕᲐᲪᲚᲐᲕ ᲞᲠᲝᲡ-ᲞᲐᲚᲛᲐ 5-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ 17,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢ ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲗᲐᲜ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲐ. ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ „ᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲘᲮᲕᲔᲑᲘ“ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲤᲘᲝᲠᲝᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲔᲜ. ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲣᲨ ᲩᲔᲠᲙᲐᲕᲡᲙᲘ ᲙᲚᲐᲕ „ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲨᲘ“ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲩᲐᲤᲚᲐᲕᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲤᲐᲠᲛᲙᲚᲣᲑᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲓᲐ. „ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲨᲘ“ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ — ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ 2,7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 900 000 ᲐᲘᲚᲔᲑᲡ.

**ᲡᲐᲛᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**

ᲯᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲟᲘᲒᲔᲠᲘ ᲡᲐᲒᲠᲫᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲯᲐᲕᲬᲠᲝᲕᲔᲡ



## ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ 2003

*ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲔ-12 ᲔᲢᲐ�პᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲠᲑᲝᲚᲐᲡ ᲓᲐᲔᲗᲛᲝ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ ᲑᲝᲚᲝᲡᲬᲘᲜᲐ, ᲛᲔ-19 ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲚᲔᲜᲡ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲡ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲬᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ, ᲗᲣ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲓᲐᲪ ᲛᲝᲘᲒᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲕᲔᲚᲝᲢᲣᲠᲘ*

ᲘᲐᲜ ᲣᲚᲠᲘᲮᲘᲡ ᲚᲔᲜᲡ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲐ

# ᲘᲐᲜ ᲣᲚᲠᲘᲮᲘ: ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲢᲣᲠᲣᲜᲐᲮᲐᲕᲛᲐ ᲒᲐᲘᲚᲕᲘᲫᲐ

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲛᲐ** ᲠᲑᲝᲚᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲘᲚᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲞ ᲓᲔᲙᲝᲕᲔᲠᲢᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲭᲘᲛᲣᲚ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 47-ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲑᲝᲚᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲜᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲘᲐ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲣᲜᲔᲓ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲤᲔᲠᲝᲕᲜᲐᲓ ᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲔᲚᲝᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ.

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲠᲑᲝᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓ ᲔᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲛᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 21 ᲬᲐᲛᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲒᲔᲑᲓᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲓᲔᲕᲐᲠ, ᲧᲐᲖᲐᲮ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲕᲘᲜᲝᲙᲣᲠᲝᲕᲡ. ᲧᲐᲖᲐᲮᲛᲐ ᲧᲝᲩᲐᲚᲐᲓ ᲘᲐᲠᲐ ᲙᲐᲞ ᲓᲔᲙᲝᲕᲔᲠᲢᲔᲛᲓᲔ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲬᲐᲐ�გᲝ. ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓᲘᲡ ᲯᲐᲛᲨᲘ 51 ᲬᲐᲛᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ.

ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲧᲕᲔᲚᲔᲚ ᲢᲐᲮᲢᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲔᲞᲐᲠᲐ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲐᲜ ᲣᲚᲠᲘᲮᲘ, ᲢᲣᲠᲘᲡ 1997 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔᲪ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ. ᲣᲚᲠᲘᲮᲛᲐ 47 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲖᲔ ᲩᲐᲣᲥᲐᲓ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲡ ᲬᲣᲗᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ ᲐᲯᲝᲑᲐ. ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲔᲥᲕᲔᲥᲡᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲩᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ. ᲣᲚᲠᲘᲮᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲖᲔ ᲩᲐᲣᲥᲐᲓ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲡ ᲬᲣᲗᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ ᲐᲯᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲒᲠᲫᲔᲑᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲛ ᲣᲚᲠᲘᲮᲛᲐ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲩᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐᲝ.

ᲗᲣ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲚᲘᲗ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲚᲠᲘᲮᲡ ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲫᲐᲦᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ 2000, 2001 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲡᲣᲙᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲘᲡ ᲙᲐᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲜᲡ. ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ ᲣᲚᲠᲘᲮᲛᲐ 1998 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲐᲜ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲑᲝᲚᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ, ᲠᲐᲙᲘ ᲘᲛ ᲬᲚᲔᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲑᲓᲦᲕᲜᲘᲓᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲔ, ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲙᲝ ᲞᲐᲜᲢᲐᲜᲘ.

„ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ — ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲜᲐᲠᲑᲝᲚᲚᲔᲕᲡ ᲣᲚᲠᲘᲮᲘ — ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲘᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲐ ᲚᲔᲜᲡ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲕᲔᲠᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲐᲡᲔᲗ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ, ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲔᲑ.“

„ᲣᲚᲠᲘᲮᲛᲐ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲘᲠᲑᲝᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲑᲝᲚᲐᲪ ᲮᲛᲝ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲝᲗᲮᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲛᲝᲓᲘᲗ ᲐᲡᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲗ, ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ“ — ᲗᲥᲕᲐ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲛᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲕᲗᲥᲕᲘᲗ 26 ᲘᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲞᲘᲠᲜᲔᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ, ᲛᲗᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘᲡᲐᲐ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲘᲡ Უ�პᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲚᲠᲘᲮᲛᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲣᲗᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲣᲛᲪᲘᲠᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲐᲚᲞᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲘᲠᲗᲝᲕᲐ 

# მოეშვით ამ ქალს

*დიდი მებრძოლი ქალი ჩანს ავსტრალიელი წყალბურთელი ჯოდი სტაპკი. ჯერ კიდევ არ გალეულა და უკვე მეორედ მივიღეთ ამგვარი ფოტო, რომ მეტოქე წყალკაბას ახევდეს ტანზე ამ ბრაზიან სირინოზს. ამჯერად მისი მეტოქე კანადელი მარი-ლუკ არპინია და კანადელებიც ამარცხებენ ოზებს, ხაზ. თუმცა, მარტო ჯოდის არ უჭირს, იაპონელი მაიუ მიმაკი იმგვარად ბოჭავს ვენესუელელ სტეფანი რივეროს, თითქოს უნდა დაახრჩოსო. ბარსელონაში კი წყალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდება.*



REUTERS ბარსელონიდან

# ისევ წინ არის

*ლეონს არმსტრონგი ტურ დე ფრანსის მეთერთმეტე ეტაპის შემდეგ, ნარბონსა და ტულუზს შორის გავლილი გზის თავზე ინარჩუნებს ლიდერის ყვითელ მაისურას და ტულუზში ჩასულ არნოლდ შვარცენეგერთან ერთად გვეუბნება, ამ შეჯიბრს წელსაც მე ვეყოლები ჩემპიონადო.*




REUTERS ტულუზიდან

# მოაზროვნე

*ჯერ კიდევ როდის გამოაქანდაკა რაღაც ამგვარი ოგიუსტ როდენმა. ჩაფიქრებული კაცი, მოაზროვნე კაცი, დიახაც, ჩამოჰგავს დაფის თვალებით მხვრეტ გარი კასპაროვს, რომელიც ახლა ჩიკაგოშია და იქ ერთდროული თამაშის სეანსში ჩაბმულა ოც დაფაზე.*



REUTERS ჩიკაგოდან




REUTERS ნორტჰემპტონიდან

# ბოდი და ფორდი

*„ჯორდან ფორდის“ საჯინიბოში პილოტი რალფ ფირმენი დგას თავის მანქანასთან და ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშების წინარე სარეკლამო ამბავში ჩაბმულა. ამავ საქმეში მონაწილე მოდელი ლეი ნიუმენი მთლად დედიშობილაა, ოღონდ ყვითლად შეღებილი და სხეულზე მორიელდახატული. ბოდი არტს თუ რაღაც ასეთს ეტყვიან ამგვარ ჩაცმას, ყვითელი „ჯორდან ფორდის“ ფერია.*


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახალედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეშაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge